

57/3

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

140/3

45



ს. რ. ნ. გ. ე. კ. რ.

№ 1  
0368060  
1957









# პ ი ნ ე რ ი

საქართველოს ალკა  
ცენტრალური კომიტეტის  
ქოველთვიური  
საბავშვო ჟურნალი

## მ ი ნ ა ე რ ს ი



რ. ინანიშვილი — ზამთრის ზღაპარი (მოთხრობა)	2
ვ. ორჯონიკიძე — გასროლა (მოთხრობა)	6
ა. გეწაძე — ნაძვის ხის ბალადა (ლექსი)	9
ა. ონელი — ნემსი და ძაფი (ლექსი პოლონურიდან)	9
შ. ციხისელი — ქვასროლია (მოთხრობა)	10
ტექნიკის სამყაროში	11
ზ. ლეშაშვილი — კონდოლიდან მელბურნამდე (ნარკვევი)	14
ა. შენგელია — ორი მწყემსი (პოემა)	16
გამკრიახი ბავშვი (არაკი) თურქულიდან თარგმნა მ. ბელთაძემ	18
გ. ჭეიშვილი — შერცხვენა (მოთხრობა)	19
ჩვენნი ფოსტა	22
ა. კარბელაშვილი — გამოგონება (მოთხრობა)	23
მ. მრევლიშვილი — ზამთარი (ლექსი)	26
ნ. კილასონია — ნორჩი მეხანძრეები (ნარკვევი)	27
სიტყვის მატთან	30
მოკლედ ყველაფერზე	31
გ. მიწაძე — ყურძენი და ყურძნის წვენი (საუბარი)	32
ო. შალამბერიძე — მეფეზე (ლექსი)	32
ავღანური ჰიქაიათები	32
ვ. გოგოლაშვილი — მრავალ ახალ წელს (ლექსი)...	4
გარეკანის პირველი და მეოთხე გვერდის მხატვრობა	
შესრულებულია რ. ცუცქირიძის მიერ; გარეკანის მეორე გვერდზე — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის შენობა, სადაც სწავლობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი, ნახ. ვ. ჯაფარიძისა; გარეკანის მესამე გვერდზე — გასართობი.	
ყურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახარაძის, რ. ცუცქირიძის, ნ. შალიკაშვილის, გ. თოთიბაძის, გრ. ჩინინაშვილის და დ. ხახუტაშვილის მიერ.	

7290

# 1

ი ა ნ ვ ა რ ი  
1957




### რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ვ. ჭელიძე.

გამომცემის ფული  
XXXI

ს ა გ ლ ი ტ ბ ა მ ი





რეპუზ ინანიოვილი

ნახ. გრ. ჩირინაშვილისა

## ზამთრის ზღაპარი

მაღალი, სევდიანი მთის ძირას ტყე იყო. ტყეში შვლები და ირმები დანახარდობდნენ. ტყის პირას კი პატარა სახლი იღვა და შიგ კაცი და დედაკაცი ცხოვრობდა.

კაცს თევდორე ერქვა, დედაკაცს — ეფემია. ორივე მოხუცი იყო. თევდორეს საში კბილიდა შერჩენოდა, ეფემიას — ორად-ორი. გააკეთებდნენ თუჯის შავ ქვაბში ფაფას, ან ლობიოს შეჭამანდს, შემოუჯდებოდა ერთი იქიდან, მეორე აქედან და იცმუცნებოდნენ ბებრულად. სხვა ყველაფერს, რასაც კი შოულობდნენ, შვილიშვილებს უნახავდნენ.

შვილიშვილები კი ორი ჰყავდათ. ისინი, დედასთან ერთად, ჩვენს ლამაზ, საყვარელ თბილისში ცხოვრობდნენ.

როდესაც გუგულები და მოლალურები მოფრინდებოდნენ, როცა ბალი შეწითლდებოდა და მინდვრებს მარწყვის სურნელება მოეფინებოდა, მოკლედ — როდესაც ზაფხული დადგებოდა, სოფლის ფოსტალიონი, კაფანჯარა საბა, ღელეზე გადებულ ფიცრის ხიდზე ასკინკილა განივიდოდა, აღმართს სიმღერით ამოირბენდა და ჩვენს მოხუცებს ლამაზ კონვერტში ჩადებულ წერარალს მოუტანდა. წერილში ეწერა, რომ მათს შვილიშვილებს, დარეჯანსა და ავთანდილს, ისინი — პაპა და

ბებია — ორივე ძალიან უყვარდათ; სულ იმ დღის მოლოდინში იყვნენ, როდის ნახავდნენ; კარგად სწავლობდნენ — ხუთოსნები იყვნენ; უკვე დაუთხოვიათ და ამ კვირას ჩამოსვლასაც აპირებდნენ.

წერილის წაკითხვა იყო და ტყისპირას სახლში ყველაფერი სხვანაირი ხდებოდა. ეფემია, რომელიც, ჩვეულებრივ, ოთხად იყო მოკუხული, წელში სწორდებოდა და მზეს უღიმოდა — გაიგე, ჩემი კუდრაჭა დარეჯანი და ავთანდილი უნდა ჩამოვიდნენო. თევდორე პაპას ჩახლეჩილი ხმა ეწმინდებოდა და წვერ-ულგამში ნათელი ადგებოდა. ღორს სალაფავი ემატებოდა, ქათმებს — საკენკი, ფანჯრებს — შუქი და ეზოს — სისუფთავე.

მოხუცებმა იცოდნენ, რომ მათი კუდრაჭა დარეჯანი და ავთანდილი იმ მწვანე მატარებელს უნდა ჩამოეყვანა, რომელიც ქვემოთ, მდინარის ნაპირზე გაივილიდა ხოლმე და კვამლის თეთრ ნაფლეთებს გადააპენტავდა გზაზე გადახრილ ვერხვებსა და მუხებს. და აი, როგორც კი იღროვებდნენ, თევდორე პაპა მხარზე აბგას გადაიკიდებდა, შინდის მაღალ ჯოხს დაიჭერდა და თეთრად მოელვარე პატარა საღურისაკენ გასწევდა; ეფემია ბებია კი იჯდა და გზას გაჰყურებდა.

პირველ დღეს არაფერი, მეორე დღესაც არაფერი... და თუ მესამე დღესაც მართო დაბრუნდებოდა თევდო-



რე პაპა, ტყისპირა სახლი კვლავ სხვანაირი ხდებოდა. დორი ჭყიოდა, ქათმები კრიახობდნენ, წიწილები წივ-წივებდნენ, ეზოში ნიაგი ერთმანეთში ურევდა ჩალასა და ბუშბუშს. და ფაფა, ამ ჩვენი მოხუცების საყვარელი შეჭამანდიც, ხშირად ხელუხლებელი ცივდებოდა.

უნდა ითქვას, რომ ასე ყოველთვის ცოტა ხანს გრძელდებოდა. მწვანე მატარებელს ერთ დღეს ჩვენი მოხუცების შვილიშვილებიც მოყავდა, კვილით აფრთხილებდა თევდორე პაპას, აბა, კარგად მოუარეთო, და იწყებოდა ლამაზი, მხიარული დღეები.

კულრაჭა დარეჯანი ბებიას ეხმარებოდა: გვიდა, სახლს ალაგებდა, ქათმებს საკენკს უყრიდა; თან სულ ცეკვავდა და მღეროდა. ავთანდილი თევდორე პაპას ღასდევდა: ტყეში წავიდოდა — ტყეში მიჰყვებოდა, მინდორში იყო — მინდორში ახლდა. მასთან ერთად შრომობდა, ოფლს ღვრიდა და თანაც წამდაუწუმ ეკითხებოდა — როგორ იყო, პაპა, ვაკე ტყეში დათვი რომ შეგვხვდა? როგორ იყო, ირემი რომ სიკვდილს გადაარჩინე? როგორ იყო, აღზევანს რომ იყავი? და თევდორე პაპაც, ეს ბევრის მნახველი და კარგი მოქართულე კაცი, დიდის ამბით დაიწყებდა: ეე, შვილო, ეგ გრძელი ამბავია; ეგ, თუ არ დავჯექით, ისე არ ითქმება. დაჯდებოდა და ყოველ სიტყვას ანუელის გუთანივით გასჭიმავდა, გააგრძელებდა. ისე გამოდინდა, თითქოს იმას რომ დათვი ენახა, იმისთანა დათვს დედამიწის ზურგზე სხვა

ველარ ნახავდა, თითქოს აღზევანს კი არა ყოფილ იყო ს, იაპონია და ავსტრალია მოეგლოს. ავთანდილი გატაცებით უსმენდა. განსაკუთრებით საღამოობით, როცა დერეფანში ისხდნენ, თან ლობიოს არჩევდნენ და თანაც საუბრობდნენ. მაშინ ისეც მომხდარა, რომ ავთანდილს ჩასძინებია, თევდორე პაპა კი უყვება და უყვება:

— ასე იყო და ისე, აქ ის შეგვხვდა და იქ ის...

ეს დღეები ყველას უყვარდა. პაპა-ბებიასაც და შვილიშვილებსაც.

მაგრამ, როგორც გითხარით, ეს ზაფხულში იყო ხოლმე.

ის ამბავი კი, ახლა რომ უნდა გიამბოთ, ზამთარში მოხდა. მაშინ თევდორე პაპა და ეფემია ბებია მარტონი იყვნენ. მაღალი, სვედიანი მთა მწუხარე ფიქრებს მისცემოდა, საკვამურთან კვამლი აღიოდა მხალა, მხალა, სწორედ. და სახლი ისე მოჩანდა თოვლიან ველზე, თითქოს იგი კვამლით საბელით ჩამოუეციდათ ციდანო.



დილით ადრე დგებოდნენ. თევდორე პაპა დორს სალაფაფს აურევდა, შემას დაჭრიდა. ეფემია ბებია ქათმებს საკენკს დაუყრიდა. მერე გაახუტებდნენ ღუმელს და მიუჯდებოდნენ აქეთ-იქიდან.

გარეთ თოვდა, ბარდნიდა. ფანჯრებიდან ჩანდა, როგორ ეშვებოდა ლამაზი, ფაფუკი ფანტელები... და თითქოს ამ ფანტელებს მოჰყვებიათ, სახლი იცვებოდა და უსრულებელი, თვლემის მომრევი ფიქრებით. ისხდნენ ჩვენი მოხუცებიც და ფიქრობდნენ. ფიქრობდნენ თავიანთთვის, ფიქრობდნენ ხმამაღლა. თუ როგორი იყო დარეჯანი სულ პატარა და როგორი იქნება, როცა გასათხოვარი გახდება; თუ რა გააკეთა ავთანდილმა და რას გააკეთებს, როცა უმაღლესს დამთავრებს.

ხანდახან წაკინკლაკდებოდნენ კიდეც. — მთლად გადაყრუვდი, დედაკაცო! — უწყდებოდა მოთმინების ძაფი თევდორე პაპას.

— შენა, შე ყრუჩუნავ, შენა, — წიწმტობდა ბებია ეფემია, — მაშ, ეგრე გახსოვს?! დარეჯანი იყო, თუ ავთანდილი, კოკას ყური რომ მოსტეხა?!

— დარეჯანი იყო, დედაკაცო.

— დარეჯანი კი არა, ავთანდილი იყო. ის არის ხელმანკიანი. ჩემი დარეჯანი მაშ მამას გააკეთებდა, ქა?!

— დარეჯანი იყო-მეთქი, გეუბნები. მაშინ მე და ავთანდილი შინ სულ არა ვყოფილვართ, ქულაანთ ლელეში ძეძვსა ვჭირდით...

იკამათებდნენ, იკამათებდნენ და დაწყნარდებოდნენ. დამე მალე მოდიოდა — ლობილი, საიდუმლო ჩურჩულ-შრიალით აღსავსე დამე. გამოვიდოდნენ ტყიდან ტურები, დაყუნტდებოდნენ ტყისპირა სახლის შორიასხლოს და აუ! აუუ! გააბამდნენ ონავარი ყმაწვილებივით.



მოვიდა თევდორე პაპაც, ცალი ხელი მუხლზე დაიბჯინა და ცალითაც თვლა დაიწყო.





მიუახლოვდა და, ბიჭოს! ის კუნძი შეტოვდა, შეტოვდა და... აი, გულისცემაც აქ უნდა გენახათ!

ერთ დილასაც ჩვეულებრივ გათენდა. გამოდგა თევდორე პაპა ღერეფანში, შეხედა ცას და ღრმად შეისუნთქა სისხამი, ცივი ჰაერი. გამოჰყვა ეფემია ბებია და იმანაც მოსახვევის სწორებით და სახეზე ხელის მოსმით მოავლო თვალი მიდამოს. მერე თევდორე პაპამ საღორე გამოაღო, ეფემია ბებია კი ქათმები გამოუშვა.

— ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ! — იძახდა ბებია ეფემია და თან ითვლიდა: — ეს ქოჩორა, ეს ნაცარა, ეს ყელტიტეგლა, ეს ლაბუა, ეს ბაჯუჯა, ცანცარა... არა ეს ცანცარა არ არის. ჯუ, ჯუ, ჯუ! ეს ქოჩორა აქ არის, ეს ყელტიტეგლა, ბაჯუჯა, ნაცარა, ლაბუა... ცანცარა კი არ არის! გესმის, კაცო, ცანცარა არ არის. ჯუ, ჯუ, ჯუ! უი, დამიდგა თვალი, ცანცარა არ არის.

მოვიდა თევდორე პაპაც, ცალი ხელი მუხლზე დაიბჯინა და ცალითაც თვალი დაიწყო.

— ეს ნაცარა აქ არის, ეს ბაჯუჯა, ეს ქოჩორა, ლაბუა, ყელტიტეგლა... მართალია, ცანცარა არ არის, სალამოს აქ იყო, დედაკაცო?

— სალამოს აქ იყო. კალთაში მიფრინდებოდა, როგორც ჩვეულება ჰქონდა! ჯუ, ჯუ, ჯუ! ეს ქოჩორა, ეს ყელტიტეგლა, ეს ბაჯუჯა... ცანცარა არ არის, არ არის! შეიხედა თევდორე პაპამ საქათმეში, გამობრუნდა, შემოუარა წნელის კედელს და ერიპა!

— აქ მოდი, ეფეო, ჩქარა აქ მოდი! დახე, დახე, რა ნამუშევარია, ერთი დახე!

საქათმის უკანა კედლის ქვეშ ხერელი იყო გაკეთე-

ბული — ახალთახალი ხერელი. სველი მიწა ჯერაც არ დაეფარა თოვლს. ხერელთან კი ბუმბულები ეყარა, საწყალი ცანცარას ბუმბულები!

— უი, დამიდგა თვალი და მომიკვდა თავი! უი, უი, უი! — იცემდა მუხლებზე ხელს ეფემია ბებია და ხან აქედან მოუვლიდა ხერელს, ხან იქიდან. — უყურე იმ წუბაკსა, იმ წუწკსა, იმ გასატიალბელსა!

პაპა თევდორე კი ღიმილს ძლივს იკავებდა.

— ძაან ნამუშევარია, მე და ჩემმა ღმერთმა! ძაან უყოჩაღნია იმ მწითურ ბიჭს!

— რეებს მიედ-მოედები, კაცო! მიდი, კვალს მაინც მიჰყე, იქნება დააგდო სადმე?

— ეე, მელია რომ მოტაცებულ ქათამს დააგდებდეს, მაშინ იმისი ბერად კურთხევაც არ უნდა გაგვიკვირდეს. — თქვა თევდორე პაპამ და კეთა მოიფხანა. მაგრამ ნაკვალევს მაინც გაყვა.

რა თქმა უნდა, ბუმბულების მეტი ვერა ნახა რა. ხელცარიელი დაბრუნდა. ის ხერელი ამოქოლა. თოვლი ჩამოიბერტყა და მეუღლის დამშვიდებას შეუდგა.

— კარგი ახლა, თავს ხომ არ გადაეაყოლებთ იმ ერთ ქათამსა!

ბებია ეფემია დიდხანს არ დაწყენარებულა.

— ერთი თვეც არ არის, რაც მოიქცა. ყმაწვილებისათვის ვაგროვებდი კვერცხებს და მაგისი იმედი მქონდა. ჯიშინი იყო, ყოველდღე სდებდა. ამოუწყდა სახსენებელი იმის წამლებს, ტყვია ჭამოს იმის შექმამდე...

ის დღე ასე, ამგვარ ლაპარაკში დაღამდა, ის ღამეც ვშვიდობიანად გათენდა. მაგრამ მეორე ღამეს ისევ გამოუთხარა მელამ საქათმეს ძირი და ახლა ბაჯუჯა წილი. მერე ბაჯუჯას ყელტიტეგლა მიაცოლა.

აი, მაშინ კი მართლა ცეცხლი მოიკიდა ეფემია ბებია. გაღმა უბანში გადიოდა იმის ეიშვიში. თევდორე პაპას რაღა უნდა ექნა? ადგა, სოფელ-ჭიკიყანაში გავიდა და დაიჩივლა: ხალხო, ჯამათო, ერთმა წუბაკმა მელიამ ქათმები გაგვიწყო, დაგვანელა, ხელცარიელს ვესხამს, რამე მასწავლეთ, რამე მიშველეთო. აღარ თოვდა. მზეს გამოეჭვრიტა და ხალხი სადალაქოს წინ, მყუდროში შეგროვილიყო. თევდორე პაპამ რომ ეს თქვა, ყველამ მისკენ მიიწია, ყველამ ყურთასმენა გაიმახვილა. როცა გაიგეს რაშიც იყო საქმე, დაიწყეს ბჭობა და რა დაიწყეს! ერთი ურჩევდა — სომხერას მოზერისოდენა ძალი წაყვანა და ის დაება, მეორე თავის თოვის სთავაზობდა; მესამე ღარიშხანით მოწამვლის აზრს ადგა, მეოთხე ხაფანგს ამჯობინებდა.

— ხაფანგს არაფერი სჯობია თევდორე. ხალხო, დამიჯერეთ, ხაფანგს არაფერი სჯობია, — ამბობდა ჭანკლე გიორგი. — რაც მე იმით მეღიები და ტურები დამიჭერია! შარშანწინ მგელიც ხო დავიჭირე! სიკო, ხო შენი თვალითა ნახე!

— ვნახე, მამ! — როგორღაც უგუნებოდ დაუდასტურა სიკომ.

— ხო და, დამიჯერე, თევდორე, დამიჯერე. ხაფანგები მაქვს ისეთი რომა, სულ კეწკეწი გააქვთ. ახლა ძალასაც არ დაგატან! თუ კი სხვა რამე გირჩევნია, შენ იცი და იმ შენმა მელიამ.

ბევრი იფიქრა თევდორე პაპამ, ბევრი იფხანა კეთა და ბოლოს გადაწყვიტა.

— თოფი... მე ესლა მოყარაულების თავი არა მაქვს, დარიშხანი... ვაი თუ სხვა რამე მოვწამლო და ხათაბალა გამიხდეს. ისევე ხაფანგი აჯობებს. გიორგი, შეილო, მიშველე ბარემ შენს გახარებას.



— გიშველი, რატომაც არ გიშველი რა! — მიუგო გიორგიმ და ამყად გადახედა ხალხს — ჩემმა ჭკუამ აჯობა თქვენსასო.

მაშინვე წამოვიდნენ და საქმეს შეუდგნენ. სამი ხაფანგი მოამზადეს. ერთი საქათმესთან დაუდგეს, მეორე გადამტვრეული ღობის ძირში ჩამალეს, მესამე ტყისკენ მიმავალ ბილიკზე გადახიდეს. ნაკვალევი წაშალეს და დაწყებულ საქმეს ძირი დაულოცეს. არაყს სვამდნენ, მწნილს ატანდნენ და დიდ ამბავში იყვნენ.

ფეშქა ბებია თავა ევლებოდა და იმ ორ კბილს წამდაუწუმ აჩენდა — ელიძებოდა.

— ერთი იმ გასაბრალებელის ჯაგრი ამომყარეთ და დალიეთ, რამდენიც გინდათ, იმდენი დალიეთ. კიდევაცა გვაქვს.

თევდორე პაპა ბავშვივით გახალისდა. სულ იმას ნატრობდა — ერთი ჩემი ავთანდილი აქ იყოს, რომ თავისი თვლით ნახოს ეს ამბავიო. და რადგან ავთანდილი აქ არ იყო, ცდილობდა ყველაფერი კარგად დაემსოვრებინა, რათა შემდეგ დაწვრილებით ეამბო: როგორ ნახეს ერთ დილას საქათმის ძირი გამათხრილი, როგორ გამეორდა ასე რამდენჯერმე, როგორ დაუგეს იმან და ჭანჭლე გიორგიმ ხაფანგები და, ამას წინასწარ უმატებდა, როგორ წაადგა ხაფანგში გაბმულ მელა-კუდას და როგორ ამოუწყა ის წუპაკი ცხვირ-პირი.

და აი, კვლავ დადამდა. მერე კვლავ გათენდა. არა, ჯერ კარგადაც არ იყო გათენებული, რომ თევდორე პაპა ადგა, ტანთ ჩაიცვა, ყაბალახი მოიხვია, ხელში დიდი ჯოხი დაიჭირა და ხაფანგების დასათვალიერებლად წავიდა.

მიდის, ახლადმოსულ თოვლს მიჰკვლავს და გული უჩქროლავს — იქნება გაბმული მელია, თუ არა. გულის ასაჩქროლებელი თითქოს არაფერია, მაგრამ მაინც ასე მოსდის. მიდის და გული — დაგ-დუგ! დაგ-დუგ!

მივიდა საქათმესთან — არაფერი არა ჩანს ისეთი. გადავიდა ბაღში. — არც გადამტვრეულ ღობესთან არის რამე. გაუყვა ტყისკენ მიმავალ ბილიკს... აქეთ-იქიდან გადმოწვდილი ძეძვის ბუჩქები დაუბარდნავს. სიჩუმეა, სიჩუმე. კვლავ თოვს... გაუყვა, გაუყვა და შორიდანვე ხედავს კამკამა თოვლზე პატარა კუნძივით რალაც გდია. მიუახლოვდა და, ბიჭოს! ის კუნძი შეტოვდა, შეტოვდა და... აი, გულისცემა აქ უნდა გენახათ! მელია იყო, თავისი გრძელი კუდით, წვეტიანი ცხვირით და აცქიტილი ყურებით.

ჯერ ისეთ აზრს დაადგა: უნდა ვაგბრუნდე და ჩიკიყანა შეიყვარო. მაგრამ, მერე ისევ ახლოს მისვლის სურვილმა დასძლია. ჩიტი შეიძალდა, მივიდა, მივიდა და თავს დაადგა.

— დრასტი! გამარჯობა!

ნარჯვენა წინაფეხით გაბმული მელია ხტოდა, აჩეთ-იქით აწყდებოდა. თევდორე პაპას წყნარი ხმა რომ მოესმა, ახედა, დაირცხვინა და თავი ჩადუნა.

— გაები? ეხლა როგორ მოვრიგდეთ, პა? შემხედე კაცო.

მაგრამ მელიას აღარ შეუხედავს. მაშინ თევდორე პაპა თვითონ ჩატუტქა და თვალბუი ჩააშტერდა.

— რატო არაფერს არ ამბობ, კაცო! რა უყავი ჩვენი ქათმები!

მელია ძივიძებდა.

ერთი ჩემი ავთანდილი აქ უნდა იყოს, რომ... რას იზამდა ავთანდილი რომ აქ იყო? კეტს გამოართმევდა და თავს გაუხეტავდა ამ საწყალ, დატანჯულ, შეშინებულ ცხოველს? არ იცოდა თევდორე პაპამ რას იზამდა მისი ავთანდილი. ამბიკს ისეთი ოქროსფერი კულულ-კულულად დაყრილი თმა აქვს, ისეთი შუქი უდგას თვალბუიში, ისეთი ნათელი სახეზე... არ იცოდა თევდორე პაპამ — რას იზამდა მისი ავთანდილი ასეთ დროს. იმის თქმა კი დაუფიქრებლად შეეძლო, რომ მტერსაც დაენახებოდა ამ მაღხაზი ბიჭის დამწყუხარება.

მუხლებმა ვეღარ გაუძლო, თოვლში ჩაჯდა და ჯოხი ფეხებშია ჩაიყუდა.

— პა, ძმაკაცო!

ცდილობდა რამე სახუმარო ეთქვა, თუნდაც ისეთი, როგორც პირველად ეთქვა — როგორ მოვრიგდეთო. მაგრამ რალაცა არ უშვებდა.

შეკყურებდა მელიას და ისევ ფიქრობდა.

რას იზამდა ასეთ დროს მისი ავთანდილი? ანდა როგორ მოეწონება, რომ უამბოს: მივედი და „დრასტი“ ვუთხარი. მერე ავიდე და კეტი დავუშვი თავში.

რალაც არ იყო კარგი, ლამაზი, ვაჟკაცური ამ ამბავში, არ იყო ის, რაც სინარულს მოგვრიდა საყვარელ შვილიშვილს.

და თითქოს უცებ მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა.

— შენ ეგ ფეხის მომტვრევაც გეყოფა სასჯელად, ქათმებს ვეღარ მიეკარები...

კეტი დააგდო, ქურჩი გაიხადა, ახალგაზრდული სიმარლით გადააფარა მელიას, თვითონაც ხედ დააწვა, ხაფანგის კირკლები გადასწია, მელიას მოღეწილი ფეხი ამოუგდო და ადგა. ქურჩი თოვლზე გაცურდა და ფართხალი დაიწყო. მერე მელიამ თავი დააღწია, გაძვრა, ერთი მოიხედა და ახალი თოვლის კორიანტელში დაიკარგა.

თევდორე პაპა კი იდგა და ელიძებოდა. ერთდროულად რამდენიმე სურათს ხედავდა. ხედავდა ფეხმომტვრეული მელიას თჯახობას; ხედავდა თავის ავთანდილს, მხიარულს, ბედნიერს, კმაყოფილს — ამბის ასეთი დასასრულით; ხედავდა თავის მიუღლეს, წუთით დამწყრალს, შემდეგ ისევე მალე ხასიათმობრუნებულს...

და ის თოვლის ფიფქები, ის შეჭადარაგებული ტყე და ცაში კვარლის საბელით ჩამოკიდებულ სახლი ეჩვენებოდა უჩვეულოდ ლამაზად, უჩვეულოდ ბედნიერად. და გრძნობდა — არასოდეს ასე არ სჭირებია სიცოცხლე, როგორც ახლა — მოლოდინში — რომ ეს ყველაფერი თავისი საყვარელი შვილიშვილისათვის უნდა ეამბო.







ჩვენ პირველ დღესვე დავმეგობრდით...

როცა ჩვენმა საბარგო მანქანამ რწევითა და ქანაობით აიარა აბალახებული გზები და ნელნელა აცოცდა აგარაკზე, მე ის მაშინვე დავინახე კაბინის ფანჯრიდან. ის ეზოში იდგა და დიდი, საოიანი პირსახოცით იწმენდა ტანს. მაღალი იყო, კუნთმაგარი და მხარბეჭიანი.

როგორც სუსტ ყმაწვილებს სჩვევიათ, მეც პატივისმცემელი ვიყავი ღონიერი ადამიანებისა, ჩემი ოცნება იყო, ღონიერი გამოვსულიყავი, ამიტომ უცნობის ტანადობამ მომაჯადოვა.

ჩვენი შოფერი ცდილობდა განზე გაეთრია უზარმაზარი მორი, რითაც ჭიშკარი ჩაეღობათ. მას სახე წამოჭარხლებოდა, თავს ძალას ატანდა, ილანძლებოდა, მაგრამ მორს ადგილიდან ვერ სძრავდა.

ამის დანახვაზე ტანმალმა უცნობმა პირსახოცი ფიჭვის ხის კაპზე მოხერხებულად ჩამოჰკიდა, გაიღიმა, შოფერს რაღაცა უთხრა; ისიც გააცინა. მერე ერთი ხელით მძლავრად მიაწვა ჭიშკარს, მეორეთი კი მორი ისე მარჯვედ გასწია განზე, როგორც მსუბუქი ლატანი. ამას რომ აკეთებდა, მის ქერა, ბალნით დაფარულ ღონიერ მკლავებზე მზის მხიარული სხივები ცეკვავდნენ.

— ეს შენ აპირებ აქ ცხოვრებას, ბიჭო? — მკითხა მან. — აბა, აი ასე ჩაჯექი!... თითები მაგრად მოუჭირე ერთმანეთს, უფრო მაგრად! ვნახოთ, შეიმარებ თუ ვერა თავს ჰაერში!

მე ჩაჯექი და მუსლქვეშ მაგრად მოვუჭირე ხელი ხელს. ის დამწვდა და ცალი ხელით მალლა ამიტაცა, თან თავისი ცისფერი, მხიარული თვალებით შემომყურებდა თვალბეჭში.

იმ ადამიანებს შორის, ვინც კი დღემდე შემხვედროდა, იგი ყველაზე ღონიერ და ლამაზ ვაჟკაცად მომეჩვენა. ერთადერთი, რაც მას აუშნოვებდა, თმები იყო... მაგრამ მისი მელოტი ისე უშნოდ გადასლექილი კი არ იყო, თეატრში მსხლმ კაცებს რომ მოუჩანთ, როცა

მათ მალლიდან დაჭყურებ, არამედ თანაბარი, მზეზე ყავისფრად გარუჯული და კაკლის ნაჭუჭისფრად ჩამუქებული.

ასე გავიცანი ძია მიშა.

ძია მიშა ომის დროს მესანგრე იყო, ახლა კი მშენებლობაზე მუშაობდა.

— წინათ სახლებს ვაფეთქებდი, ახლა კი ვაშენებ... არანაკლებ მომწონდა მისი საყვარელი გამოთქმა, რომელსაც ის ხშირად იმეორებდა:

— მესანგრეს შეცდომა თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოხდის!

ეს იმას ნიშნავდა, რომ მესანგრის სამუშაო ძალზე სახიფათოა, მას შეცდომა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოუვიდეს, თორემ სიცოცხლის ფასად დაუჯდება.

ძია მიშა თავის შვებულებას აქ, აგარაკზე ატარებდა. ის დილაადრიან დგებოდა და მოკლე შარვლის ამარა გამოიბოდა ეზოში. მე ფანჯრის კუთხიდან მალულად ვუთვალთვალებდი. ის, როგორც სტადიონს, ისე ურბენდა ირგვლივ ჩვენს აგარაკს, თავი უკან გადაეგლო, ფეხის კუნთები დაეკიმა და თანაბრად, ღრმად სუნთქავდა. შემდეგ ტანვარჯიშს იწყებდა. მე კი ოთახში, ჩემს ფანჯარას მოფარებული, გულმოდგინედ ვიმეორებდი მის ყოველ მოძრაობას.

ტანვარჯიშის შემდეგ ძია მიშა კრივის თათმანებს იცვამდა და თანაბარი ტკაცა-ტკუცით ახმაურებდა აგარაკის შემოგარე ტყეს.

ფიჭვის ხეზე ჩამოკიდული ტყავის მსხალი ზუსტ დარტყმებს ემორჩილებოდა, ფიცარს ეხეთქებოდა და ისევ უკან, ძია მიშასკენ მოჰქროდა.

გადაწყვიტიტე კრივი შემესწავლა. კარებში ჩემი ფრენბურთის ბურთი გრძელი ზონარით ჩამოვკიდე, მაგრამ დარტყმის შემდეგ ბურთი მალლა მიფრინავდა, უკან ირიბად ბრუნდებოდა და არაფერი გამომდიოდა.



ერთხელ, ვარჯიშის დროს, ძია მიშამ დამინახა, გაცი-  
ნა და წინადადება მომცა, მასთან ერთად მევარჯიშა.  
— მერე, როგორ? — შევეკითხე, — თქვენი მსხალი  
ძალიან მაღლა ჰკიდა, ვერ შევწვდები...

— ჩვენც დაბლა დავიდეთ, ისე, რომ შესწვდე.  
მას შემდეგ ყოველ დღით მავარჯიშებდა კრივში,  
ხელზე თავის უშველებელ თათმანებს ჩამაცმევდა და  
სიცილით ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— აბა, ახლა გამოვა კოლოს წონა მეკრივე!  
საუხშის შემდეგ ძია მიშა თავის წკრიალა ველოსი-  
პედს გამოიტანდა, მეც შევეუხტებოდი და ჩვენ დიდი  
ტბისკენ საბანაოდ მივქროდით. იქ ძია მიშა ცურვასაც  
მასწავლიდა.

მაგრამ ჯერ მთავარი არ მითქვამს.  
ძია მიშას თავის ოთახში ჩამოკიდებული ჰქონდა სანა-  
ღირო თოფი, ასეთი კი არსად შემხვედროდა. ამ თოფს  
კრიალა კონდახზე სრანებით მიმაგრებული ჰქონდა  
ვერცხლის პატარა ფირფიტა, რომელზეც თანაბარი,  
ლამაზი ასოებით გამოყვანილი იყო:

„მ. პ. ლებედევს — შესანიშნავი სროლისათვის“.  
თვითონ ძია მიშამ მითხრა, ამ თოფით მალე სანადი-  
როდ წავალთო. ჩვენთან ერთად თავის სანადირო  
ძაღლით წამოსვლას აპირებდა მისი ამხანაგიც.

ერთი სიტყვით, სამივენი ვემზადებოდით ნამდვილ,  
შორეულ ტყეში სანადიროდ წასასვლელად.

რამდენ რამეს არ ვფიქრობდი მაშინ... ვინ იცის,  
ტყეში ღამის გათევაც მოგვიხდეს. ცეცხლს დავანთებთ,  
ნანადირევს შევწვავთ, ჩაისაც ავადლულებთ. ნანადირე-  
ვით დაზურგულნი აგარაკზე ალბათ შუადღისას დავ-  
ბრუნდებით. დედაჩემი ვახშმის სამზადისს შეუდგება,  
ჩვენს მიერ მოკლულ კურდღელს გამოვიგნავს და  
მერე, მეც, როგორც თანასწორუფლებიან მონადირეს,  
ისე მიმიწვევენ სუფრაზე.

ძია მიშას ამხანაგს ოთხშაბათს უნდა გამოევლო.  
ამ დღეს მოუთმენლად ველოდი. სამშაბათს დღითვე  
ჩემს საწოლზე დავაგროვე ის ნივთები, რომლებიც ჩე-  
მის აზრით სანადიროდ აუცილებელი იყო: ძველი  
პლანშეტი, გერმანული რუკა, კომპასი, დიდი ბურაოიანი  
ჯაყვა, ბრეზენტის ჩალითაში ჩადებული რეზინის-  
სახელურიანი პატარა ნაჯახი, მავთულის გორგალი.

ახლა მხოლოდ იმაზელა ვფიქრობდი, თუ რაში ჩა-  
მეწყო ეს ყველაფერი, რომ სწორედ ჩემს ფანჯარას-  
თან სროლის ხმა გაისმა.

ფანჯრიდან გავიხედე.  
ეზოში ძია მიშა იდგა. მას ხელში თოფი ეჭირა, ჰაერ-  
ში თოფისწამლის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა.

— რას ესროლეთ, ძია მიშა?  
მან ჩვენი ეზოს კუთხისაკენ გაიქნია ხელი. იქ, ბალა-  
ხებში რაღაც თეთრად მოჩანდა, დაჭმუჭნული ქალა-  
ღივით.

— დიდი ხანია თოფი ხელში აღარ ამიღია და აი,  
ვცადე... სროლა არ დამვიწყნია, გაფრენილს მოვარტყი.  
მაშინვე მივირბინე იმ ადგილას, სადაც ის თეთრად  
დაჭმუჭნული რაღაცა ეგდო... ეს იყო ჯერ ისევ ნორჩი,  
მტრედის პატარა ბარტყი. სუფთა, სისხლში შეუხსრე-  
ლი ფრთით ავიყვანე ფრინველი.

— შიგ თავში მოხვედრია, ძია მიშა! — რაღაც  
ჩაწყვეტილი, აკანკალებული ხმით წამოვიძახე და უმაღ-  
ლესადვრო, ცრემლისმომგვრელი სიბრალული ვიგარძენე  
ამ პატარა, ლამაზი ფრინველისადმი.

„განა შეიძლებოდა ამ პატარა ფრინველისათვის ეს-  
როლა?... ვინ იცის, ამ მტრედს რაიმე სასწრაფო წერი-  
ლი მიჰქონდა... იქნებ საფოსტო მტრედია?...“

მტრედის პაწაწინა ვარდისფერ ფეხებს დავხედე.  
არავითარი ბეჭედი ან წერილი ამ ცაცხახით მოკრუნ-  
ხსულ ფეხებზე მიმაგრებული არ იყო.

ძია მიშა თავის თოფიანად პარმალზე ავიდა, კარებ-  
ში შეჩერდა, ჩემსკენ მოიხედა და მომამხა:

— როგორც ჩანს, ეს მტრედი შინაურია... ხელზე  
გაზრდილი... პირდაპირ თოფის ლულისკენ მოიწვედა...

— კი მაგრამ... რა ვუყოთ ამ მტრედს, ძია მიშა?

— ბიჭო, ასე აშკარად ნუ დაათრევ, თორემ... ხომ  
შეიძლება პატრონი გაუჩნდეს! ჯობს, რამეში გაახვიო, აი,  
თუნდაც გაზეთში... და, გადააგდო. მაგრამ ნარეცხის  
ორმოში კი არა, პირდაპირ საპირფარეოში ჩაუშვი.

მაშინვე ჩვენს ოთახში შევირბინე გაზეთის მოსაძებ-  
ნად, რომ მკვდარი მტრედი შიგ გამეხვია.

ჯერ არც კი გამეხვია მტრედი ფანჯრიდან ჩამოხეულ  
ძველ, გაყვითლებულ გაზეთში, რომ ხმაური შემომეს-  
მა... ვიღაც ბიჭები ჩვენი ეზოს ჭიშკართან ჩოჩქოლებ-  
დნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— აქ, აი აქ გაისროლეს! სროლის ხმაც გავიგონეთ  
და კვამლიც დავინახეთ!

ის-ის იყო წელში მოვიდუნე ფანჯარასთან მისასვლე-  
ლად და ბიჭების დასათვალეებლად, რომ უცებ ჩვე-  
ნი ოთახის იატაკზე სისხლის წვეთებს მოვკარი თვალი.  
სისხლი იატაკს ალბათ მაშინ დაეწვეთა, როცა გაზეთს  
დავეძებდი...

ცხვირსახოცი ამოვიღე, წყლით სავსე ვედროში ამო-  
ვავლე და იატაკზე წვეთების წმენდას შევუდექი.

„ვაი თუ იმ ბიჭებმა ეზოშიც მოჰკრან თვალი სისხლის



მაშინვე ჩვენს ოთახში შევირბინე გაზეთის მო-  
საძებნად, რომ მკვდარი მტრედი შიგ გამეხვია.



წვეთებს... ვაი თუ კვალს გამოჰყვენ და აქ მოვიდ-  
ნენ,—ვფიქრობდი და თანდათან მოუსვენრობა მიჰყ-  
რობდა, — რა უნდა ვუთხრა, რომ შემოვიდნენ?..

— არა, თქვენ სცდებით, ყმაწვილებო! — უცებ შე-  
მომესმა ძია მიშას მშვიდი, კეთილი ხმა.—სროლის ხმას  
აქედან ვერ გაიგებდით, აქ არავის გაუსროლია!

„აქ არავის გაუსროლია... მაგრამ ეს რაღა?“

მხოლოდ ახლავდა შევამჩნიე, რომ მთელი ამ ხნის  
განმავლობაში გაზეთში გახვეული მტრედი მკერდზე  
მქონდა მიხუტებული.

— იქნებ თქვენ არა... იქნებ სხვა ვინმემ!... — ისმო-  
და ვიღაც ბიჭის გაცხარებული ძახილი.

— არა, აქ ჩემს გარდა მხოლოდ ერთი ბიჭი ცხოვ-  
რობს, მას კი თოფი არა აქვს... აბა როგორ გაისროდა?

„მაგრამ ხომ შეიძლება თვალი მოჰკრან სისხლს?...  
მაშინ აუცილებლად მოვლენ აქ.“ — ხელახლა გავი-  
ფიქრე, გახვეული უბეში ჩავიტენე და ფანჯარასთან  
მივცოცდი, რომ კარგად დამენახა რაც ეზოში ხდებოდა.

ამ დროს ეზოში შემოვიდა ბავშვებში ჩამდგარი ახალ-  
გაზრდა გამხდარი ქალი, რომელსაც თვალცრემლიანი  
ბიჭისთვის ჩაევიდა ხელი.

— მაშ თქვენ არ დაგინახავთ მტრედი?... გუშინ აჩუ-  
ქეს ჩემს ბიჭს... აქეთ გამოფრენილა... აი ეს ბიჭებიც  
ამბობენ...

— ერიშა! რასაც ბიჭები იტყვიან, ყური რომ დავუგ-  
ლოთ... — გაასავსავა ხელები ძია მიშამ.



— სიამოვნებით, — მშვიდად თქვა ძია მი-  
შამ,—შემოღით ჩემთან, დაათვალიერეთ!

— ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა! — წამოიძახა მე-  
სერს იქით მდგარმა ჩასუქებულმა, სათვალეზიანმა ბიჭ-  
მა, — აგარაკი უნდა დავათვალიეროთ, მორჩა და გა-  
თავდა! ბოლოსდაბოლოს მილიციის მოყვანაც შეიძლება!

— სიამოვნებით, — მშვიდად თქვა ძია მიშამ, — შე-  
მოღით ჩემთან, დაათვალიერეთ!

ბიჭები ხმაურით ავიდნენ ძია მიშას აივანზე.

ქურდულად მივუახლოვდი უკანა ეზოს ფანჯარას. ირ-  
გვლივ არავინ ჩანდა. ფანჯრიდან ოციოდე მეტრის  
მანძილზე ფიცრული საპირფარეშო იდგა.

ჩემი ვარაუდით მე მოვასწრებდი იქამდე მიმერბინა,  
სანამ რომელიმე მოსულთაგანი ძია მიშას აივანიდან ჩა-  
მოვიდოდა... მაგრამ მანამდე ჩვენი პარამლის დათვალიე-  
რებაც უნდა მომესწრო. იქნებ იქაც დაეცა სისხლის  
წვეთები.

პარმალზე სისხლის წვეთები არ აღმოჩნდა.

მაშინ მე ჩუმად მივხურე კარი, გახვეული მტრედი  
უბეში კარგად გავისწორე და ფრთხილად გადავძვერი  
ფანჯრიდან...

სწრაფად ჩავრაზე კარი და ფიცრებშორის დარჩენი-  
ლი ჭურჭრუტანიდან გავიხედე.

გული აღელვებით მიცემდა, თითქოს პირდაპირ ყელ-  
ში მომბეჯენოდა... უბიდან აცაცხახებული თითებით  
ამოვიღე გაზეთში გახვეული ჯერ ისევ თბილი მტრედი  
და ამოჭრილში ჩავაგდე. სიმშვიდე მაინც არ მიგრძენია.  
ნელა გამოვედი, ჭრიალა კარიც ფრთხილად მივხურე.

უცებ, სწორედ მაშინ, როცა ჩვენს პარმალს  
ვუახლოვდებოდი, ეზოში შემოსული ბიჭები წინ  
შემეფეთნენ.

— აი ეს ბიჭი, ჩვენი მეზობელია, მას შეუძლია  
თქვას, გაისროლა თუ არა აქ ვინმემ, — შემო-  
მესმა ძია მიშას ხმა.

მე შევხედე ძია მიშას, მაგრამ მისი სახე ვერ  
გავარჩიე. მისი სახის ნაცვლად ვხედავდი რაღაც  
მკრთალსა და ბუნდოვანს.

— არა,—ვთქვი ჩაწყვეტილი ხმით, — აქ სულ  
სიხუმე იყო...

— ბიჭიკო, ხელები სისხლში გაქვს გასვრილი,  
რაო, ხომ არ გაიჭერი? — მკითხა გამხდარმა  
ქალმა.

— დიას, მამაჩემის დანით გავიჭერი, — ამო-  
ვიძახე და ვიგრძენი, რომ ჩემი იქ დარჩენა აღარ  
შეიძლებოდა. ბიჭებს გვერდი ავუარე. ნელ-ნელა  
მივდიოდით, თავს ვიმაგრებდი, რომ უცებ არ გავ-  
ქცულიყავი... ვგრძნობდი, თვალს არავინ მაშო-  
რებდა, არავის სჯეროდა სიტყვებისა, რომლებიც  
ეს-ეს არის ვთქვი.



მე შემოვფურბინე სახლს და მივედი ჩვენი ეზოს  
მიყრუებულ კუთხეში, სადაც ველური ასკილისა  
და ჟოლოს ბუჩქები იდგა. სწრაფად შევრგე თა-  
ვი ბუჩქებში, თან ვგრძნობდი, როგორ მესობოდა  
ასობით ეკალი სხეულში. გაცოფებით ვგლეჯდი  
ფოთლებს, ვიწმენდავდი ამ ფოთლებით ხელებს.

ვგლეჯდი ფოთლებს, ვსრესდი, ვისროდი აქეთ-  
იქით, გულამოსკვნილი ვტიროდი, ვტიროდი იმის  
გამო, რომ არ შემეძლო მივსულიყავი ბიჭებთან,  
რომლებსაც ძია მიშა ახლა მშვიდად ელაპარაკე-  
ბოდა და მოცინარი ცისფერი თვალეებით შესცქე-  
როდა.



# ნემსი და ძაფი

პანო მნელი  
(ბოლონურიდან)



ვინ და ვინ ცეკვავს? — ნემსი და ძაფი!  
ძაფი ნელ-ნელა, ნემსი კი სწრაფად.  
ნემსი ბუქნაობს... სრიალებს ფეხი,  
ძაფი მიჰყვება მანქვით და გრებით.  
უცბათ შეჩერდნენ. რა დაემართათ?  
ძაფი დაება... და გაიხლართა.  
ნემსს ამის მეტი რა უნდა ეთქვა:  
— ერთი შენც იტყვი ვიციო ცეკვა!  
კვალდაკვალ მომყე, რას ცბუქავ ნეტა?  
ან, ეს რაღაა?... რაღაც ნასკვს ვხედავ.  
ნემსი კვდებოდა სიცილით... ძაფს კი  
დიდი წვალებით გაუხსნა ნასკვი.  
ისევ გაჩაღდა ცეკვა და ბუქნა,  
ძაფი კვლავ მანქვით მიჰყვება უკან.  
გულწასულს კვნესა აღმოხდა ბოლოს:  
„ო, თქვენთან ცეკვა“ ჯვარცმა მხოლოდ!  
კმარა! ისმინე ეს ჩემი ხვეწნა, —  
დავდნი... რაღა ვარ? — სულ ერთი ბეწვა“.  
— „შაბაშ! — თქვა ნემსმა, —  
გვეყოფა ჯაფა!“  
ასე შეიკერა გოგონას კაბა.

## ნადვის ხის ბაღადა

ლამაზ ტყეში ნადვი მოსჭრეს  
და დარბაზში დადგეს.  
წვრილ წიწვებში გაელიმათ  
ნათურებს და ვარდებს.

მერე ნაირფერად მორთულს,  
ლაღად ტოტებგაშლილს,  
მთელ ორ კვირას გარს უვლიდა  
უამრავი ბავშვი.

უგალობდნენ ტკბილ სიმღერებს,  
უკოცნიდნენ რტოებს,

უგალობდნენ... მაგრამ ბოლოს  
მარტოდ მიატოვეს.

დამწუხრდა და მოენატრა  
ტყის ჩურჩული ტკბილი,  
ისევ წვიმა, ისევ თოვლი,  
მზის ამოსვლა დილით.

მოენატრა, მაგრამ რა ქნას?  
გულში ჩუმად ხვნეშის:  
ფეხმოჭრილი ვერასოდეს  
ვეღარ წავა ტყეში.

აკაკი გენაძე





გალვა სინისელი

ნახ. ალ. ბან'ცლადისა



# ქ ვ ა ს რ ო ლ ი ა

სახელად ლერი ერქვა, მაგრამ ქვასროლიას ეძახდნენ. მისი საყვარელი გასართობი ქვის სროლა იყო. დილით, როდესაც საბავშვო ბაღისკენ მიმავალი მკვირცხლად მიხტოდა ღედის გვერდით, მაშინაც კი თვალებს აცეცებდა იქით-აქეთ და, შენიშნავდა თუ არა ქუჩაში დაგდებულ პატარა, ბრტყელ ქვას, გუნებაში იტყოდა: „რა კარგი ქვაა, შორს წავა ძალიან!“ საკვირველი სიზუსტით ესროდა ნიშანშიც. გამოიტანდა გადამწვარ ნათურას, დადგამდა შორს, აარჩევდა ლამაზ ქვებს და რამდენიმე სროლით — ბუხ! — მიამსხვრევდა სმაურით. ხოლო, თუ არ ჰქონდა ნათურა, მაშინ მონახავდა კონსერვის გადაგდებულ კოლოფს, ან თუნუქის რაიმე ძირგავარდნილ ჭურჭელს და გაჰქონდა საათობით ბრახუნს. და ყველამ, ვისაც კი ესმოდა სმაური, იცოდა, რომ ეს — ლერი ერთობოდა თავისი საყვარელი თამაშით.

ცხადია, ასეთი საქციელის შემდეგ ქვასროლიას შეარქმევდნენ.

პირველად არა სწყინდა მეტსახელი და, როცა დაუძახებდნენ ხოლმე, იღიმებოდა; მაგრამ, როდესაც თანაუბნელი ბავშვების მეოხებით სკოლაშიც შეჰყვა იგი, მაშინ კი ახტა-დახტა ცხარედ და ცემით დაემუქრა ვინაობის გამმყლავნებელს.

მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მშობლებმა ბინა გაცვალეს და სხვა ადგილას გადასახლდნენ, უხაროდა, რომ ახალ უბანში, ახალ სკოლაში არ ეცოდინებოდათ მისი ზედმეტი სახელი და ვეღარ დაამცირებდნენ ვაგლახად. მაგრამ ერთმა უნებლიე შემთხვევამ იქაც გამოავლინა მისი ჩვეულება და საკმაოდ მძიმე ნიშნით განაცდევინა; ხოლო ამის მიზეზი ისევ და ისევ ქვის სროლა იყო.

\* \* \*

იმ სახლის მოპირდაპირე მხარეს, სადაც მათი ახალი ბინა მდებარეობდა, ცხოვრობდა ერთი თეთრწყვრა

პაპა. ღრმად მოხუცების გამო სეირნობაც კი აღარ შეეძლო და, როდესაც ზაფხულის ცხელი მზე შენობებს იქით ჩაიძირებოდა, მძიმე ნაბიჯით გამოვიდოდა ხელში ბალიშგადაკრული სკამით, ჩამოჯდებოდა ქუჩის პირას თავის ჭიშკართან და სტკებებოდა გამვლელ-გამომვლელთა ცქერით. ლერიმ უმაღლვე შეამჩნია, რომ კეთილ პაპას მეგობრული — დამოკიდებულება ჰქონდა ბავშვებთან, — შემოისხამდა ხოლმე პატარებს გარშემო, უყვებოდა რაღაც ამბებს და ეალერსებოდა. ლერის პირველ-შეხვედვისთანავე შეუყვარდა პაპა და გადაწყვიტა დაახლოებოდა სხვებზე.

მართლაც, ერთხელ, როცა პაპა მარტოდ-მარტო იჯდომი დაინახა, მტკიოვრე გადაწყვიტვებით გამოაღო ჭიშკარი და ქუჩაში გამოვიდა. პაპამ, როგორც კი გაიგონა ჭიშკრის სმაური, მაშინვე მიიხედა მისკენ და, როდესაც უცნობი კოხტა ბიჭი დაინახა, ალერსით გაუბრწყინდა თვალები. მაგრამ, რადგან ლერიმ გვერდზე დაიწყო ცქერა, თითქმის ვერც კი შეენიშნოს პაპა, მოხუცმაც აღარათფერი უთხრა. ლერიმ უხერხულად იგრძნო თავი და ახაციის ხეს შემოხვია მკლავები. შემდეგ ჩუმილ გააპარა მზერა მისკენ და, როდესაც დარწმუნდა მე აღარ მიცქერისო, ეწყინა; ნილა მოცილდა ხეს. ქვათენილობის მიმოყრილ კენჭებს შორის სანაყავის მოყვანილობის ქვა ამოარჩია, ტროტუარზე ჩამოჯდა და, ვითომც საქმე გავიჩინეო, თილაქანს დაოწყო ცემა.

ქუჩა მაყუდრო იყო, თანაც ვიწრო; ამიტომ ერთი ნაპირიდან მეორემდე თავისუფლად შეიძლებოდა საუბარი. პაპამ, როდესაც დაინახა, რომ ბიჭი მის პირდაპირ ჩამოჯდა, ისევ გაუბრწყინდა სახე და წყნარი, კეთილი ხმით გადმოსძახა:

— რას აკეთებ, პატარა კაცო?

ლერიმ არათფერი უპასუხა. თავი დალუნა და უფრო მძლავრად დაუშინა თილაქანს.



— რა გქვია, ბიჭუნო? — ისევ შეეკითხა პაპა.  
ლერიმ ქვასანაყი გვერდზე მოისროლა, წვრილ კენ-  
ჭებს დაუწყო ძებნა და პაპასგან გვერდშემქცევით  
იჯდომმა წყნარად წაიბურტყუნა თავისი სახელი.

— ცოტა ხმამაღლა თქვი, ვერ გავიგე!... მეზობლები  
ვართ, სახელი ხომ უნდა ვიცოდე! — წააქეზა პაპამ.  
ლერიმ კენჭებს ნიშანში დაუწყო სროლა და უფრო  
ხმამაღლა წარმოსთქვა სახელი.

— რელი გქვია? — გაიკვირვა პაპამ. — რელი რა სა-  
ხელია! რელი, ჩემს პატარა ბიჭობაში, ლეკვს ერქვა.

ლერი მიხვდა, რომ პაპამ გახვებ დაამახინჯა მისი სა-  
ხელი. ამიტომ, რაკი არ მოეწონა ასეთი ხუმრობა, ცხვი-  
რი გვერდზე წაიღო, წაიტუჩა და გამოაჯავრა: — მუ...  
მუ... მუ!... — ვითომ ასე ლაპარაკობო.

— აკი ვთქვი ლეკვს ერქვა-მეთქი, სწორედ ლეკვივი-  
თა ყვე! — ჩაიციხა პაპამ.

მაშინ ლერიმ ერთი კენჭი ჩვეული სიმარჯვით აფ-  
რინა პაპასკენ და ზედ ფეხებთან მიუგორა. პაპას ეწყი-  
ნა დამკირება და სწრაფად იცვალა სახე.

— შენ, ბიძია, ლერი კი არა — ქვასროლია უნდა  
გერქვას. ეს იქნება შესაფერი სახელი!... ხუმრობაც არა  
გცოდნია.

„ქვასროლიას“ გაგონებაზე ლერი შეკრთა და თვალე-  
ბი გაუფართოვდა. რადგან შეატყო, რომ პაპამ ხუმრო-  
ბის გარეშე წარმოთქვა ეს სიტყვა, ისევ გამოაჯავრა  
და სახლისაკენ გასწია ფეხათრევით. მაგრამ ერთ ადგი-  
ლას შეჩერდა, კენჭს დაწვდა და სწრაფად სტყორცნა  
პაპასკენ. კენჭმა პაპას იქით, მესერზე მოაღინა ბრახა-  
ნი. ვიღაც ქალმა კაპასით გამოსძახა: ვინ ისვრის ქვებ-  
სო! პაპას ზედ მხართან გაუქროლა ქვამ და შეაკრთო.

— შენ ცოტა ჰკვიანად იყავ, ცუდლუტო, თორემ ახ-  
ლავე დაგიჭერ!

— როგორ დამიჭერ, სირბილი არ შეგიძლია! —  
გამომწვევად მიაძახა ლერიმ.

— მე თუ ვერ დაგიჭერ, მილიცია ხომ დაგიჭერს!  
აჰა, გაბედე კიდევ!

ლერი მოცილდა იმ ადგილს. თავის ეზოსკენ გაემარ-  
თა და, ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ტელეგრაფის  
ბოძს ამოეფარა. ძალიან უხაროდა, რომ ასე დაფრთხო  
პაპა. ჩაიციხა კიდევ, როდესაც მოიგონა თუ როგორ  
შეკრთა ის. როცა ქვამ გაუქროლა და გადაწყვიტა ერ-  
თი ასეთი უვნებელი ოინი კიდევ მოეწყო. ნელა დაიხა-  
რა ძირს, შეუმჩნევლად აიღო პატარა ქვა, სწრაფად  
მოცილდა ბოძს და მთელი ძალით ტყორცნა. პაპა უეც-  
რად შექანდა სკამზე, ყრუდ ამოიგმინა და მუხლებზე  
გადმოხრილმა მოწყვეტით ჩაქინდრა თავი. „ვაიმე,  
მოვკალი მგონი!“ — გაუელვა ლერის და ჭიშკარს ეცა.  
გაიბრინა ეზო, შევარდა სახლში, ასწია ტახტზე ჩამო-  
დარებული ფარდაგი და კნუტივით შეიმალა ქვეშ.

\* \* \*

ტახტიდან როგორც იქნა გამოძვრა, მაგრამ ოთახიდან  
კი ვეღარ გაბედა გარეთ გამოსვლა და მთელი საღამო  
შიშსა და მოლოდინში გაატარა: ეს-ესაა მოვა მილი-  
ციელი და წამიყვანსო. ჭიშკრის ყოველი გაჭრიალება  
ფეთებას ჰგვრიდა. სიმხნევე მხოლოდ მაშინ შეემატა,  
როცა მამა დაბრუნდა სამსახურიდან. იმ იმედით, რომ  
იგი მილიციელს არ დაანებებდა მის თავს, გვერდიდან  
აღარ მოსცილებია. ხოლო, როცა ქუჩაში ჩამოწოლილი

ბინდი უცებ გაფანტა ბოძიდან გადმოდგრილმა ელემ-  
ტრომუქმა, ფრთხილად მივიდა ბაღის მესერთან, მრ-  
ქებნა მოზრდილი ჭუჭრუტანა და იმ ადგილს დაუწყო  
თვალთვალი, სადაც პაპას უყვარდა ჯდომა.

მაგრამ არავინ იყო იქ.

„ნეტა მიმიყვანა იმ ადგილას, ვნახავდი სისხლი აქ-  
ცვია თუ არა!“ — ინატრა გუნებაში. შემდეგ რაღა-  
ცას მიუგლო ყური და გაიფიქრა: „ალბათ არ მომკვდა-  
რა, თორემ მოთქმას გავიგონებდი... ყველაფერი ხვალ  
გაიგება; თუ მოკვდა, კუბოს ხომ მოიტანენ?“

ჭიშკრის ახლოს ვიღაც მამაკაცები იდგნენ და საუბ-  
რობდნენ. ლერი ბევრს ეცადა, მაგრამ ჭუჭრუტანიდან  
ვერაფერი დაინახა. მაშინ იგი ფეხაკრეფით მიუახ-  
ლოვდა ჭიშკარს და ყურით მიეკრა ზედ. ისინი რაღა-  
ცას აჩხაკუნებდნენ და მის ირგვლივ გულმოდგინედ  
მსჯელობდნენ. მათი საქმიანობით დაინტერესებულმა  
ბიჭმა ოდნავ ურიკლა კარს და კისერიწაგრძელებულმა  
იქით გააპარა თვალი. მაგრამ მეტი შიშით ბლანნი აეშა-  
ლა თავზე — ქუჩაში სამი მილიციელი იდგა.

გაფითრებული შევარდა სახლში. ატირდა.

— რა მოხდა, შვილო, რამ შეგაშინა? — ფეხზე წა-  
მოცივიდნენ მშობლები და გარს შემოეხვივნენ ბავშვს.

— მილიციელები მოვიდნენ!... ჩემი წაყვანა უნ-  
დათ!... — ღრიალებდა ლერი და შიშით მამას ეკვროდა.

დედა გარეთ გავარდა და მილიციელებს წაეჩხუბა:  
რათ შემიშინეთ ბავშვიო. მათ კი მხრები აიჩეჩეს გა-  
კვირვებით, ერთმანეთს გადახედეს და იქიდან წა-  
ვიდნენ.

— შენთან რა ესაქმებათ, შვილო, მილიციელებს! —  
ეფერებოდა მამა, — ისინი ხომ ყოველ ღამით დადიან  
შემოვლაზე? განა პირველად ხედავ?!“



ლერიმ არაფერი უპასუხა, თავი დალუნა და უფრო მძლავ-  
რად დაუშინა ფილაქანს.





შიშით ბალანი აეშალა თავზე — ქუჩაში სამი მილიციელი იდგა.

რაკი მილიციელები მის დასაკერად არ იყვნენ მოსულნი, ლერი დაწყნარდა; მშობლები კი საგონებელში ჩაცვივდნენ.

მთელი ღამე მოუსვენრად იყო ბავშვი. აბოდებდა, კრთებოდა, ხოლო ერთხელ შეშლილივით წამოვარდა ზეზე და სადღაც აპირებდა გაქცევას — მილიციელი მომდევსო. სიცხე გაუსინჯეს და ორმოცზე მეტი ჰქონდა.

იმ ღამეს რაღა იქნებოდა, მეორე დღეს კი დილითვე მოიყვანეს ექიმი და გულის ფანცქალით დაუწყეს ლოდინი, რას იტყოდა. მან გულდასმით გასინჯა ავადმყოფი და მშობლებს კითხა: ხომ არაფერს შეუშინებიათ ბავშვი. მშობლებმა დასტური მისცეს და უამბოეს, თუ როგორ შეეშინდა ლერის მილიციელების. მამის ექიმმა თვითონ ლერის კითხა, რატომ შეეშინდა მათი. მაგრამ ლერი კურდღელივით ჩაინაბა ლოგინში და კრინტი არ დაუძრავს. ექიმმა წამალი გამოწერა, განმარტა როგორ უნდა მიეღო იგი ავადმყოფს და ბოლოს დაუმატა:

— ოღონდ იცოდეთ, თუ არ იტყვის რატომ შეეშინდა ლერის მილიციელების, წამალი არ მოუხდება, უშედეგოდ ჩაივლის!

მშობლებს ექიმის სიტყვები პირველად სკუმრობა ეგონათ და გაიღიმეს კიდევ, მაგრამ კარგად რომ ჩაუფიქრდნენ ორივე მიხვდა მის აზრს. სოლო, როდესაც გააცილეს იგი, კარგა ხანს ისაუბრეს ერთად და ბოლოს დაასკვნეს, რომ ბავშვმა უთუოდ ჩაიღინა რაღაც დიდი დანაშაული, რის გამოც მილიციელის დანახვა შიშის ზარსა ჰგვრისო.

მამა საშხახურში წავიდა. დედა კი ჩამოჯდა შვილის საწოლთან და მშვიდად გამოჰკითხა ყველაფერი.

— მითხარი, შვილო, რატომ შეგეშინდა მილიციელების, თორემ, როგორც ექიმმა თქვა, წამალი არ გიშველის!

ლერი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე კი წაბუტტყუნა:

— მე მეგონა ჩემს დასაკერად მოვიდნენ.  
— შენთან რა უნდოდათ. განა შენ ბორტმოქმედი ხარ?!

ლერი ჯერ მხოლოდ პირველ კლასში იყო და არ იცოდა რა იყო ბორტმოქმედი. გაიფიქრა, ალბათ ის არის, მე რომ პაპას თავში ქვა მოვარტყიო, და დედას კითხა:

— რა არის, დედი, ბორტმოქმედი?  
— მე მაგას როლი გეკითხები! მითხარი რატომ შეგეშინდა მილიციელების?

ლერი კვლავ ჩაფიქრდა, თითქოს ვერ გაიგო რა კითხესო, მერე კი ასეთი პასუხი მისცა დედას:

— იქითა ტროტუარზე რომ პაპა ზის სოლომე, ის დამეშუქრა მილიციელს. დავაკერინებ შენს თავსო! დედას თვალები მრისხანებით აღეგზნო, მაგრამ თავი შეიკავა და ხელოვნური სიმშვიდით კითხა ბავშვს:

— რათა, ბიჭო, განა რა დაუშავე ისეთი?  
— არაფერი! — წარმოთქვა ლერიმ და გაიდრუნა.

დედა წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა გარეთ. ლერიმ კარგად იცოდა მისი სიანხლის ამბავი, ამიტომ უმაღლე მიხვდა რისთვისაც წავიდა ის და შეიდეგის მოლოდინში გულს დაუწყო ფრთხილი.

დედა მალე დაბრუნდა უკან და კარებიდანვე მოახსნა დამტუქსავად:

— შე საზიზლარო, რა გქნია იმ პატიოსანი კაცისთვის, პა?

ლერიმ, რატომღაც, იფიქრა პაპა მომკვდარო და ღრიალი შორით. ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილი დედა კი ოთახის შუაგულში გაიბიჯვა დონჯემოცურილი და აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს დღეს სიკერზე, მივიდა შვილთან და ალერსით ანუგეშა, რომ უკვე აღარაფერი იყო საშიში, რომ პაპა ჯანმრთელად იყო და მილიციაშიც არ აპირებდა წასვლას.

ლერიმ შეწყვიტა ტირილი და თანდათან დამშვიდდა. მერე კი სიხარულიც ჩაესახა გულში და ბოლოს ისე განაღმდა, რომ საღამოს ლოგინიდანაც გამოძვრა. მაშინვე გაიქცა ბაღში და მესერას მიეჭრა. უდიდესი შეგება იგრძნო, როდესაც ქუჭრუტანიდან ისევ დაინახა



თავის ამოჩემებულ ადგილას მშვიდად მიიჯდარი პაპა. თლონდ სამწუხარო ის იყო რომ, ლერის უსაქციელობის წყალობით შუბლზე თეთრი დოღბანდი ჰქონდა შემოგრავნილი.

სად იყო და სად არა, დედაც გაჩნდა მასთან, მკლავში ხელი მოკიდა და უთხრა:

— წამო, ბიჭო, პაპასთან ბოლიში მოიხადე, იქნებ შეგირიდეს!

ლერი კი სარცხვილის გამო უარზე დადგა და მაგრა მოეჭიდა მესერს, ძალით არ წამათრიოსო დედამ.

...მაგრამ როდემდე იქნებოდნენ უბრაოდ? მეზობლად ცხოვრობდნენ, ბოლოს ხომ უნდა შერიგებულობენ? და შერიგდნენ კიდევ.

ხოლო ერთხელ, როდესაც პაპამ თავის გარშემო მერცხლებივით შემომსხდარ ბავშვებს ზღაპარი უამბო, რომელსაც სათაურად „ქვასროლია“ უწოდა, ლერი კარგად მიხვდა, რომ ეს ამბავი სწორედ ის იყო, რომელიც მას გადასხდა პაპასთან. პაპამ ასე დააბოლოვა თავისი ზღაპარი:


— ჰოდა, რა მოუტანა პატარა ბიჭს ქვის სროლამ? რა და ის, რომ მეზობლის პაპას თავი გაუტეხა, თვითონ კინაღამ ჰკუდიან შეიშალა მეტი შიშით და მშობლებსაც გული ატკინა მწარედ. დაიწყებთ თქვენ ოდესმე ისე ბრიყვეულად ქვების სროლას? — ჰკითხა ბოლოს ბავშვებს.

— არა, არ დავიწყებთ! — ერთხმად მიუგეს მათ.

ლერიმ თავი ჩაღუნა და ხმაც არ ამოუღია. თუმცა რა საჭირო იყო ხმის ამოდება! — მან უკვე დაანება თავი ქვის სროლას.



# ტექნიკის სამყაროში



\*  
სადაც არ უნდა ცხოვრობდე ჩვენი მკითხველო, ქალაქად თუ სოფლად, თვეში ერთხელ დამტარებულს ჩვენი ყურნალის ახალი ნომერი მოაქვს შენთან. გადაშლი მას და, საინტერესო მოთხრობების გვერდით, ხახვ ცნობებს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების შესახებ.

შენ იცი, რომ ჩვენი დრო მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების პერიოდია, ყოველ დღეს ახალი გამოგონება, ახალი პროგრესი მოაქვს კაცობრიობისათვის. ამიტომ გაინტერესებს რისთვის იბრძვიან მეცნიერები და ინჟინერები, რა უახლოესი ამოცანები დგას მათ წინაშე დღეს.

ჩვენი ყურნალი მოგიყვება ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, ჩინეთის ინჟინერთა გამოგონებებზე. რაღა თქმა უნდა, აქვე საბჭოთა მეცნიერების მიღწევებსაც გაეცნობი. მოკლე ცნობებში

განუხორციელებულ იღვებსაც წააწყდები, ჩაიხედავ უცნაურ მანქანათა, უხილავ სხეულთა სამყაროში, ოცნებით მომავლის მიმზიდველ სურათებს დაინახავ. ნუ გაგიკვირდება. გახსოვდეს, რომ რაც დღეს საოცარი და ზღაპრული გეჩვენება, ხვალ ფრთებს შეისხამს, სინამდვილედ იქცევა.

ახლა კი, გადავშალოთ ახლახან განოსული საბავშვო ყურნალის—„იუნი ტექნიკის“ პირველი ნომრები. ვნახოთ რა ახალ გამოგონებებზე მოგვითხრობს იგი.

## უ რ ა მ პ ა რ ი ა მ წ ი

რკინის უზარმაზარ ოჩაფხვას თითქოს ფეხები გადაულაჯია ექვსსართულიან სახლზე და გაჩერებულია. ეს რკინის ამწეა, რომელიც ჩეხოსლოვაკელმა ინჟინრებმა ააგეს. ჩვეულებრივ ამწესთან შედარებით მას ის უპირატესობა აქვს, რომ არ არის „მიჯაჭვული“ სახლის ერთ მხარეს და თავისუფლად შეუძლია მიაწოდოს ტვირთი მთელ სააღმშენებლო მოედანს. იმის გამო, რომ ამწე ოთხ ფეხს ეყრდნობა, იგი მტკიცედ დგას რელსებზე, არ ითხოვს წმირ შეკეთებას და დიდად აჩქარებს მშენებლობას.

(დასასრული ნახევარი მე-19 გვ.)





# კონდოლიდან მელბურნამდე

5 დღეა გემმა დატოვა სტუმართმოყვარე მელბურნი. ახლა ინდოეთის ოკეანის ტალღების რწევას აყოლილი „გრუზია“ დილის სისწრაფით მიეშურება სამშობლოს ნაპირებისაკენ.


სადღაც, სულ ახლოს, ეკვატორი გადის. ეს უპირველეს ყოვლისა სიცხით იგრძნობა: ტემპერატურა 42 გრადუსამდეა ასული. შუა დღეა. სიცხისაგან არაქათგამოცილილ მგზავრებს გრილი ნიავის მოლოდინში გემბანზე მოუყრიათ თავი. ბევრი საცურაო აუნში ეძებს. შვებას — მაგრამ წყალიც რომ ცხელია!

გემის ქიბთან, სპირდილობელ სოკოს ქვეშ, ტანმორჩილი ახალგაზრდა ზის და ფიქრში გართული ოკეანეს გასცქერის. უსიცოცხლოა ოკეანე. გემების განუყრელი თანამგზავრები — თოლიებიც კი აღარ ჩანან, შორს ოკეანეში, როგორც ჩანს ისინიც ვერ ბედავენ შესვლას. ჭაბუკმა შუბლზე გადისვა ხელი, ცას გახედა. მზე ზედ ცის შუაგულში, ზენიტზე იდგა. „რაც უფრო ვუახლოვდებით ეკვატორს, მით უფრო შვეულად დასცქერის მზე დედამიწას“. — აგონდება ბავშვობაში გახეიბებული სიტყვები. ჰმ! ამას ხომ გეოგრაფიის მასწავლებელი ახეიბრიყინებდა. ათიოდე წლის წინათ, წინა მერხზე წამოსკუბულ ჭაბუკს... ოცნებამ შორს, მშობლიურ საქართველოში გადაისროლა...

მშვენიერი კახეთი. სოფელი კონდოლი. რიყის ქვით ნაგები, ზვრებში ჩამალული სკოლის ერთსართულიანი



ოლიმპის მთიდან ტრადიციული, ოლიმპიური ჩირაღდნის ჩამოტანის ცერემონიალი.



შენობა. მეექვსე „ბ“ კლასი, კედელზე გაკრული ნახევარსფეროების გაცრეცილი რუკა — ზედ ეკვატორზე, რომ მელნის დიდი ლაქა აჩნდა. მერხზე დიდი, მრგვალი ასოებით ამოჭრილი — „მირიანი და გელა ძმებია.“ აგერ ნახერხმოყრილი საჭიდაო მოედანიც. წრის გარშემო ბავშვები ჩანთებზე წამომჯდარან. ორნი სახრით აფართოვებენ რკალს „განი, განი!“ — გაიძახიან და წრედ შეკრულ ბავშვებს ზიდ ფეხებთან უბარტყუნებენ ჯონებს. მოედნის შუაში ოფლში გალუმპული ორი ფალავანი, ორი მეექვსეკლასელი ერთმანეთს ჩაფრენია. აგერ რა ხანია ძიძგილაობენ და ვერც ერთი ძვრას ვერ უშვება ერთმანეთს. ბოლოს, ერთმა მათგანმა თავისკენ მიიზიდა მეტოქე, მერე მორჯვენა ფეხი წინ წაიგდო, შუა კაური ამოსდო და დააწვა. წამიც და ქორიანი ბიჭი ნახერხზე გორავდა. „ყოჩაღ, ყოჩაღ, მირიანი!“ — ხმაურობს ეზო.

ასე იყო ყოველდღე. სკოლიდან შინ მისული დანაყრებას ვერ ასწრებდა, ისევ საჭიდაო მოედნისაკენ მიუწევდა გული. დავაუკაცდა; მუხლი გაუმაგრდა, მკლავში ძალა მოემატა. ახლა მისი სახელი მეზობელ სოფლებსაც მოედო, ბოლოს კი, მის შესახებ თელავი, გურჯაანი და ყვარელიც ალაპარაკდა.

\* \* \*

გაიარა წლებმა. 1951 წელს მირიანი სოფლიდან წამოვიდა და თბილისის ერთ-ერთ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. აღარ იყვნენ სკოლის მეგობრები, აღარც საჭიდაო მოედანი იყო ახლოს, ისე რიგად აღარც თვითონ აგონდებოდა ჭიდაობა. ირგვლივ ახალი წრე, ახალი ინტერესები იყო. დღის დიდი ნაწილი ლექციებს მიჰქონდა, საღამო კი წიგნების კითხვაში მიდიოდა.

შეიძლება არც კი დაბრუნებოდა მირიანი ხალიჩას, რომ ერთხელ, შემთხვევით, ტექნიკუმის საჭიდაო დარბაზში არ შეეველო. მოჭიდავეების დანახვისას სისხლი აუჩქროლდა, გულმა ხალიჩისაკენ გაუწია. კარგა ხანს უყურა კუნთმაგარ ბიჭებს, თვით გაბერილ ადამიანის ფიტულებს რომ აგორებდნენ, და მერე თვითონაც



გადავიდა სარბიელზე — იჭიდავა. ეს იყო და ეს, მას შემდეგ საჭიდაო დარბაზს აღარ მოსცილებია.

სოფელში, ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედანზე მიღებული ჩვევამ მალე იჩინა თავი და მირიანი რამდენიმე თვის ვარჯიშის შემდეგ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში იქნა შეყვანილი. მომდევნო წელს საკავშირო პირველობაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მოულოდნელად სასტიკი დამარცხება იგება — მერვე ადგილზე გამოვიდა. ჩანდა, დიდ არენაზე გამარჯვებისათვის მარტო ქართული ჭიდაობის კარგად ცოდნა არ იყო საკმარისი. მაგრამ ამ დამარცხებამ მირიანი მაინც იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უძლიერესებთან არა მარტო ჭიდაობა, არამედ გამარჯვებაც შეიძლებოდა.

ეს ასეც მოხდა... მეორე წელს ძველი მოწინააღმდეგეები ვეღარ ცნობდნენ მას. ერთიმეორეზე ჩამოიშორა ყველა მეტოქე და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

1955 წელს, ქალაქ ვარშავაში გამართულ ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე, მირიანმა დაუმარცხებლად ჩაატარა მთელი შეჯიბრი და ოქროს მედლით დაბრუნდა საქართველოში.

1956 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკიადაზე გამარჯვების შემდეგ მირიანი მე-16 ოლიმპიურ თამაშებისათვის იწყებს მზადებას.

დადგა მისთვის ყველაზე საპასუხისმგებლო და ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდის დრო.

\*

ავსტრალია. მე-16 ოლიმპიური თამაშების ფინალი ჭიდაობაში. გუგუნიებს დარბაზი. ისმის შეძახილები ათასგვარ ენაზე. მოჭიდავისათვის კარგად ნაცნობ ამ ხმაურში მირიანს ესმის ქართული სიტყვები: „მიდი!“ „შენია!“ „იგებ!“ — ეს ქართველი ბიჭები: ბალავაძე, ძნელაძე და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი დ. ციმაკურიძე ამხნევებენ მას. ენერჯია უთაყვცდებდა. გამარჯვების რწმენა ემატება.

ძნელი იყო გზა ფინალამდე. არც ერთ პირველობაზე არ ყოფილა ასეთი ძლიერი მონაწილეები. მართალი იყო გაზეთები რომ ამბობდნენ — ამ შეჯიბრზე სუპერტები არ არიანო. ოთხი დღეა იბრძვის მირიანი, ვინ არ გადაუდგა გზაზე: იაპონელი თუ ამერიკელი, თურქი თუ ინდოელი, მაინც მივიდა ფინალამდე, ახლა კი, აი, ირანელს ებრძვის. რა ხერხი არ იხმარა, რა არ სცადა, მაგრამ არაფერი გაუვიდა, მე-16 ოლიმპიური თამაშების ფინალისტი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე ხოჯასტე პური, გველივით მოქნილი, ვეფხვივით შეუპოვარი გამოდგა. ამ შეხვედრამ უნდა გადაწყვიტოს ვინ განდებდა ოლიმპიური ჩემპიონი, ვინ მიიღებს ხვალ ოქროს მედალს. მირიანის უპირატესობით მიდის შეხვედრა, მაყურებლის ტანქვეშ, იგი უმოწყალოდ აბურთავებს მოწინააღმდეგეს, მაგრამ არ იქნა და არა, ზურგზე ვერ დააწვინა გამამაგებელი ირანელი. პირველი ადგილისათვის კი სუფთა გამარჯვება, — ბეჭებზე დაწვენა საჭირო. აი ახლაც, შესანიშნავად შეასრულა ტრიპლი, თვითონ კი ხილურზე შედგა, მაგრამ რეზინივით მოქნილი ირანელი გაუსხლტა ხელიდან, რადგან ჭიდაობის თითქმის ყველა კლასიკური ილეთი იცის, წინასწარ გრძნობს ყველა ფანდს. გამძლეა, ღონიერი. მაშ რით უნდა სძლიოს მირიანმა მას? მალე დროც ამოიწურება, ქულებით გამარჯვება კი ახლა დამარცხებას უდრის. ორი მოჭიდავე ერთმანეთზე ხელგადაჭდობილი დგას. მოწინააღმდეგე შეტევას ელოდება, თავდასაცავად არის

მზად, მირიანი კი... უტეხ მან მძლავრად მოსწია თავისკენ ირანელი, მერე მარჯვენა ფეხი წინ გაიგდო და შუა კაუჩი ამოსლო მოულოდნელად. ლეიბზე დაცემულმა ხოჯასტე პურმა მაინც მოასწრო და ხილურზე დადგა, მირიანი კი ქორივით დააფრინდა ზედ. ახლა საჭიროა დაჭერა, დაჭერა ისე, რომ გადაბრუნება ვერ მოახერხოს მოქნილმა მოწინააღმდეგემ. ასეთ მდგომარეობაში კი ცხადია დიდხანს ვერ დაძლებს. იგრიხება, მტკიცე ხელიდან გასხლტომას ლამობს ირანელი, მაგრამ ყველა ხედავს როგორ ეშვება ნელნელა ძირს, ლეიბისაკენ მისი მხრები, არბიტრი მსაჯი ძირს გართხმულა, ქვეშიდან უყურებს — როდის შეეხება მხრები ლეიბს. ხალხის ყურისწამლებ ხმაურში მთავრდება შეხვედრა. სასტვენის გაბმული ხმა დარბაზს აუწყებს საბჭოთა მოჭიდავის მირიან ცალქალამანიძის შესანიშნავ გამარჯვებას.

ამას იგონებდა, ეკვატორთან „გრუზიას“ გენბანზე მჯდომი ვაჟკაცი და ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ გაიარა კახელმა ბიჭმა ვრცელი სპორტული გზა კონდოლიდან მელბურნამდე. მაგრამ განა მელბურნია უკანასკნელი?! ახლოს ფესტივალის აღმებით დაფარული მოსკოვია, შორს კი რომი, სტამბოლი და ვინ იცის კიდევ რამდენი შეჯიბრი და მასთან ერთად რამდენი გამარჯვება მოსჩანს.

### ზურაბ ლეჟაველი



ქალაქ მელბურნის ხელი.



# ორი მწყემსი

ელეკო შენგელია

ნახ. კ. მახარაძისა

პოემა




1

მდინარე ფსოუ თუ იცით,  
ერთი პატარა წყალია,  
მთებიდან თავქვე ჩამორბის,  
ზღვისაკენ მოუხარია.

ერთი პატარა წყალია,  
თითქოს მშვიდი და წყნარია,  
ფსკერზე  
ბეთრ კენჭებს დაუთვლი,  
მთაში თუ კარგი დარია.

მაგრამ შემოვა აპრილი,  
შემობრძანდება მაისი,



ფსოუ გადავა ნაპირებს,  
ბობოქარ ტალღებს აიშლის.

შათქით ჩამოაქვს მთებიდან  
უზარმაზარი მორები,  
ზღვასთან კი,  
თითქოს შემკრთალი,  
მოდის ზღაზვნით და ზმორებით.

მდინარის გაღმა-გამოღმა,  
სადაც თავდება ხეობა,  
ხეხილის ბაღში ჩაფლული,  
ძლივს მოჩანს მოსახლეობა.

ერთ სოფელს ჰქვია ღუბოვკა,  
მეორე სოფელს — მუხნარი,  
მათი ბაღები, მინდვრები,  
ვერ ნახოთ უთეს-უხნავი.

ერთმანეთს ეჯიბრებიან  
გამარჯვებაში განთქმულნი,  
გაღმა-გამოღმა გაისმის  
სიმღერა რუსულ-ქართული.

რუკაზე დიდხანს ვეძებე,  
და გეტყვით გულდაწყვეტილი,  
რატომღაც გამორჩენიათ  
დაესვათ ორი წერტილი.

ამ ორი გმირი სოფლისა  
რუკამ არ იცის ამბავი,  
თუმცა რამდენი რამ არის  
რუკაზე დაუსტამბავი.

ამიტომ უფრო ვესწრაფვი,  
ხელიხელ გადაჭლობილი,  
გაგაცნოთ ორი სოფელი,  
ორი ნაცადი ძმობილი.

ახლა რომ გაღმა არყისხე  
შრიალებს ცაში აჭრილი,  
იქ ერთი გმირი დაეცა  
სისხლისგან  
სულმთლად დაცლილი.

სოფელში ყველა იცნობდა,  
იგორი ერქვა სახელად,  
ერთი შეება ოცეულს,  
ერთმა გაუღიტა ნახევრად.



ნაპირზე მისი საფლავი  
იმ არყისხესთან ანთია,  
საფლავიც ვთქვათ და  
საფლავიც,—  
ის მთელი სოფლის დარდია.



გამოღმა ჯგუხი მუხა დგას,  
მიწაში ფესვებგამჯდარი,  
ცას შეჭბუბუნებს ზვიადი,  
დარი არის თუ ავდარი.

აქ, მარმარილოს სულ თეთრი,  
პატარა ობელისკია,  
თითქოსდა ქვა კი არ არის,  
ერთი ნაგლეჯი ნისლია!


ნისლი კი არა, მანდილი,  
ნისლივით თეთრი მანდილი!  
სატრფოს მდულარე ცრემლებთან  
საფლავზე ძირს დავარდნილი.

ამ მუხის ძირთან დაეცა  
სოფლელი ბიჭი არჩილი,  
როცა მტრის რიგებს ლეწავდა,  
მუსრავდა მძიმედ დაჭრილი.

2

უფრო შორიდან დავიწყოთ.  
იყო ომი და ხანძარი.

7290



მამებმა მთელი ქვეყანა  
მტრის შესამუსრად აღვძარი.

სოფელი რაა, კერაც კი  
არ დარჩა არსად მდუმარი,  
ყველა იღვწოდა, იბრძოდა,  
ვისაც შესწევდა უნარი.

— სამშობლო განსაცდელშია! —  
ისმოდა ყოველ კუთხეში,  
ბრძოლად დაიძრა ლაშქარი,  
ჩვენი სამშობლოს ნუგეში.

დუბოვკელებმა ყანებში  
დაიკაპიწეს ხელები,  
შრომასაც ბრძოლა დაერქვა, —  
უტევდნენ მუხნარელები.

ფრონტს ყველაფერი ჭირდება,  
ბიჭებს ნუ გაუჭირდებათ,  
დების, დედების ნაქსოვმა  
დაათბონ მატყლის წინდებმა!

ფრონტს ყველაფერი ჭირდება,  
სამშობლოს უნდა ეშველოს!  
და ეშელონი ფრონტისკენ  
მისდევდა კიდე ეშელონს.

როგორც დუბოვკას, მუხნარსაც  
ყავდა ჯოგები, ფარები,  
მათგან ათასფრად ბზინავდა,  
ფსოუს უტეხი ჭალები.

როგორც დუბოვკა, მუხნარიც,  
ორ მწყემსზე მიგითითებდა;  
ორი ჭაბუკი უვლიდა  
ორივე სოფლის დიდებს.

ფსოუს გაღმა და გამოღმა  
გადადიოდა ნახირი,  
ჭალებს მისდევდა ზოზინით,  
ქორფა ბალახზე დახრილი.

თუ ფსოუ მოულოდნელად,  
ავდრისგან აზვირთდებოდა,  
გამოღმელს შიში არ ჰქონდა,  
ჯოგი რომ გაღმა რჩებოდა.


ასე იყვნენ და შრომობდნენ  
ჭაბუკნი სასახელოდა.  
იქით იგორი მღეროდა,  
აქეთ არჩილი მღეროდა.

3

და როცა ომის ღრუბელი  
ფსოუს ცას გადაებურა,  
ორი სოფელი წაწოდა,  
მტერს შეუტია ვეფხურად.

სარდლის ბრძანება მოვიდა, —  
სოფლებმა გასჭრეს სანგრები:  
— ვართ დუბოვკა და მუხნარი,  
მტერს აქვე გავუმაგრდებით!

ბავშვებს და დედებს, მოხუცებს,  
აყრა ურჩიის სოფლიდან;  
სხვამ, ვისაც ღონე ერჩოდა,  
ხელი იარაღს მოკიდა.



იმ ღამეს ფსოუ აღიღდა,  
თითქოს გაბრაზდა, განელდა,  
მტერიც უტევდა, ყუმბარა  
მიწას თხრიდა და ცას ხევდა.

ელვა კრთებოდა, ზრიალით  
სკდებოდა მუხა ბებერი,  
ტყვია ცეცხლავდა მიდამოს,  
ცეცხლისგან ავად შეფერილს.

ფსოუს ნაპირზე ორ ჭაბუკს  
გამოერეკა ნახირი,  
ბილიკებს ჩუმად მოსდევდნენ  
წყნარი სტვენით და ძახილით.





თუმც წყალმა ცხვრები, ბატკნები  
ვაიტაცა და წაიღო,  
ეს დანაკლისი რა იყო,  
მტრის ლუკმა მაინც არ იყო!

როცა მდინარის გამოღმა  
ტყეს შეეფარა ჯოგები,  
წყლის გაღმით სროლა მოისმა,  
ხასტიკი, დაუზოგველი.

იგორმა არჩილს გასძახა:  
— ნახირს მიხედე, ძმობილო,  
მე კი მტერს გავუმკლავდები,  
არ დამჩრჩეს უკმაყოფილო!..

უკვე რიჟრაჟი დგებოდა  
და წყალზე ნისლი წვებოდა,

მძიმედ დაჭრილი იგორი  
მტერს მაინც ეომებოდა.

გამოღმა კვეთდა არჩილი,  
მტერი არჩილმაც ირგუნა,  
გაჭყიფინებდა მტარვალებს,  
ჭაბუკი მხნედ და დიდგულად.

გადარჩენილი ნახირი,  
ტყეში შორს იყო წასული.  
...მაღე სოფლიდან დაძირა,  
ხალხი იარაღსხმული.

მაგრამ იგორს ვერ მიუსწრეს,  
არჩილს კი სისხლში შეფერილს,  
უკანასკნელად აღმოხდა  
სამშობლოს სადიდებელი.

საჭირო იყო მტრისაგან  
სოფლის დოვლათის დამალვა,  
და ბჭობდა ორი ჭაბუკი,  
ზულ ორი თოფის ამარა.

პირუტყვი წყალში შერეკეს,  
არჩილი მიჰყვა ვანდაგან.  
იგორი ფრთხილობს, სროლაა,  
ზულ ახლო, სერის გადაღმა.



## გამჭრიახი ბავშვი



ერთი კაცი თავის ძმას ესტუმრა.  
სახედარი, რომლითაც მივიდა, ბოძ-  
ზე მიაბა. რამდენიმე ხნის შემდეგ  
ნახეს, სახედარს ბაწარი აეწყვიტა  
და სადღაც წასულიყო. ძმებმა სა-  
ხედარის ძებნა დაიწყეს. გზაში პა-  
ტარა ბავშვი შეხვდათ.

სახედარი ხომ არ გინახავსო,  
— შეეკითხნენ.

— რომელი სახედარი? ის ხომ  
არა, უკანა მარჯვენა ფეხით რომ  
კოჭლობს, მარცხენა თვალი და-  
ბრმავებული აქვს, და ზურგზე ქე-  
რით სავსე ლურჯი ხურჯინი ჰკი-  
დია?

— სწორედ ის, — უპასუხეს  
ძმებმა.

— ასეთი სახედარი არ მინახავს.

— რატომ სტყუი, — უთხრეს  
ძმებმა ბავშვს და ყვირილი და-  
უწყეს.

— სახედარი არ მინახავს, — გა-  
ნაგრძო ბავშვმა, — გზაში მხოლოდ  
მისი კვალი ვნახე; უკანა მარჯვენა  
ფეხის კვალი, სხვა ფეხების კვალ-  
თან შედარებით, ნაკლები სიღრმით

იყო აღბეჭდილი: ალბათ სახედარი  
ამ ფეხით კოჭლობდა. გზის მარჯ-  
ვენა მხარეს თუმცა ბალახი იშვია-  
თად არის, ყველგან მოეძოვა. მარ-  
ცხენა მხარეს ხშირი და შალაი ბა-  
ლახია, მაგრამ ვერ შეუმჩნევია: მა-  
შასადამე, მარცხენა თვალით ბრმა  
ყოფილა. ხესთან მისულა, ზურგით  
გახახუნებია და ლურჯი ძაფები  
ხეზე შეუტოვებია. ესე იგი, ხურ-  
ჯინი ლურჯი ყოფილა. მიწაზე  
დაბნეული ქერი რომ დავინახე მივ-  
ხვდი — ხურჯინში ქერი ყოფილა.

ძმები გაკვირვებულნი დარჩნენ  
ბავშვის გამჭრიახობით.

თურქულიდან თარგმნა  
მ. ბელთაძემ





## ტექნიკის სავაჭროში

ორთქლის ძვები  
მიწის ფიალები

ყოველ თბოელექტროსადგურს აქვს ქვაბი, რომელშიც ნახშირი, ნავთი, ტორფი ან ატომის „საწვავი“ იწვის. ხომ არ შეიძლება ისეთი თბოელექტროსადგურის აგება, რომელსაც არ დასჭირდება არც ერთგი გამი საწვავი? ამ კითხვაზე პასუხი გასცეს მექსიკელმა ინჟინრებმა. გულმოდგინე ძიების შემდეგ, ერთ მთიან რაიონში აღმოჩენილი იქნა მიწისქვეშა ორთქლის ძლიერი ჭავლი, რომლის ტემპერატურა 300 გრადუსს აღწევს, ხოლო ორთქლის სვეტი დედამიწიდან 120 მეტრის სიმაღლეზე აღის. აქ იქნა დაპროექტებული თბოელექტროსადგური, რომელშიც საორთქლე ქვაბის მოვალეობას თვით დედამიწა ასრულებს, ხოლო ორთქლი საწვავს ცვლის. ეს თბოელექტროსადგური თითქმის ჩვენი ზაჰესისოდენ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.



### უხმო მალვიძარა

ქურნალ „იუნი ტენნიკში“ გამოქვეყნებულია ცნობა უხმო, მჯგის მალვიძარა საათის შესახებ. მას ყველა მალვიძარა საათის მსგავსად მესამე ზედმეტი ისარი აქვს. საჭიროა ამ ისრის დაყენება გარკვეულ ციფრზე, ვთქვათ 7-ზე. ამის შემდეგ თქვენ დამშვიდებით შეგიძლიათ იძინოთ, რადგან, როდესაც ისარი 7 საათს მიუახლოვდება, საათი თვითონვე შეგატყობინებთ: მჯგაზე საათის ფსკერიდან იგრძნობთ ნელკაკუნს. დღისით, როდესაც შრომით ან მეცადინეობით ხართ გართული, საათს შეუძლია გაგახსენოთ რაიმე გადაუდებელი საქმე.

### „ფრთები მხოლოდ ფრინველს სჭირდება“

„ფრთები მხოლოდ ფრინველს სჭირდება“, — ამბობს გამოთქონებული ლეტიში და გვიყვება მის მიერ შექმნილი ახალი კონსტრუქციის საფრენი აპარატის — „ჰაეროდინის“ შესახებ. მოაცილეთ ფრინველს ფრთები და თქვენს წინაშე „ჰაეროდინი“ იქნება. როგორ ჩერდება აპარატი ჰაერში, ან როგორ ფრენს უფროთოდ? — დაგებადებათ კითხვა. ფრთების მოვალეობას აქ ჰაერის ნაკადი ასრულებს, რომელსაც მანქანა მძლავრად ისრუტავს ქიმზე მოთავსებული ღრუებით, შემდეგ კი აპარატის ქვეშ მდებარე მილებით გარეთ უშვებს.

თუ მანქანა ჰაერის ნაკადს მარჯვენა მხრიდან გამოუშვებს, უზარმაზარი სხეული მარცხნივ მოუხვევს, თუ მარცხნიდან — მარჯვნივ. ასე, ჰაერის ნაკადის მეშვეობით ხდება მოძრაობის რეგულირება, „ფრთები ხელს უშლის ფრენას, რადგან ზრდის ჰაერის წინააღმდეგობას“ — ამბობს ახალი მანქანის კონსტრუქტორი.



მოლარძი ჭივივილი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

## უერცხვენა

საკუთარი თავის დამუშავება არც ხუ იოლი საქმეა. დიდხანს ვიფიქრე...თქმას ვერა ვბედავდი, უთქმელობაც რომ მაწუხებდა?!

ჰოდა, ბოლოს, როგორც იქნა, გადავწყვიტე გაამბოთ ჩემი პატარა, თანაც უბრალო თავგადასავალი.

უბრალო-მეთქი! აბა რა დიდი ამბავია კაცის თოვლში წაქცევა? მაგრამ რამ წამაქცია ეს ხომ თავისას მოითხოვს და...

გულში ამოვიჭერი ზამთრის არდადეგებზე დეიდას ვსტუმრებოდი ბაკურიანში. გაგონილი მქონდა, რომ იქ,



მით უმეტეს ზამთრობით, უამრავი სპორტსმენი ჩადის. და მეც, მანამ არ მოვეშვი მშობლებს, სანამ თბილი სპორტული შარვალი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი და ტყავის ქურთუკი არ ვაყიდიხე...

— შეხედეთ, ბიჭებო, ჩვენი ზურა ნამდვილ მოთხილამურეს არ დამსგავსებია?! — იძახოდნენ ჩემს გასაცილებლად მოსული ამხანაგები. მე, რა თქმა უნდა, მსიამოვნებდა მოთხილამურეს რომ მადარებდნენ და უფრო ვიბღინებოდი... მაგრამ ერთმა ამხანაგთაგანმა ასე მითხრა: ნეტა რად გინდოდა ასე რომ ირთვებოდი, შენც ის არ მყავდე ერთიო — ვიღაცის გვარი დამისახელა. მართალი გითხრათ, მეწყინა, მაგრამ რა უნდა მეოქვა! გულში კი ვიფიქრე: მე რა, რითი ვარ სხვაზე ნაკლები, თხილამურების ტარება რა დიდი საქმეა-მეთქი.

რალა გავაგრძელო და, ასე გამოწყობილი ჩავედი ბაკურიანში. ჭრელი ყელსახვევი რომ მოვიხვიე და ერთი ბოლო ყაბალახივით მხარზე გადავიგდე, დეიდას მეზობლის ბიჭები სიხარულით შემომესივნენ...

ერთმა ბიჭმა ჯერ ამთვალეირ-ჩამათვალეირა, მერე კმაყოფილად გამიღიმა და დარწმუნებულის კილოთი მითხრა:

— თხილამურებს ჩამოიტანდი!...

— არა, არ ჩამომიტანია! — მივუგე მე. სხვა რა უნდა მეოქვა, როცა თხილამურები მართლაც არ მქონდა თბილისში.

— რა ვუყოთ მერე, ჩვენ გათხოვებთ. — მითხრა მან. შემდეგ კრეჭით დააყოლა: — შენისთანა მოთხილამურე წამალივით გვჭირდება სვალ...

მე თავი დავხარე და ქებით ნასიამოვნებმა ჩავიცინე...

— რასაკვირველია, ძალიან კარგად იცი ტარება! — ახლა მაღალმა, ჩექმებიანმა ბიჭმა მკითხა. დავიბენი. რა ვუთხრა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ რალაცამ, რომელიც არც ტრაბახს გავდა და არც ტყუილს, უარის თქმის ნება არ მომცა და მივუგე:

— რა თქმა უნდა, ვიცი!...

გაკვირვებით სულაც არ გაკვირვებიათ, მაგრამ ხალც რად კმაყოფილებმა ხელთათმინიანი ხელები დათვის თათებივით ააბარტყუნეს, ერთმანეთს გადაეხვივნენ და შემომცინეს...

— ტყუილია, აწი ველარ გავიძლებენ ქვემოუბნელები! დღეიდან ჩვენს გუნდში ჩაგწერთ. სვალ კი აი იმ გორას ხომ ხედავ, იქ დაგიხვდებით. ქვემოუბნელებს უნდა შევეჯიბროთ!

მითხრეს და წავიდნენ.

ისინი წავიდნენ, მე კი სიმშვიდე დამეკარგა. მთელ დღეს შტერივით დავაბოტებდი. დამე ლოგინში წამოვჯექი შეშინებული, ისე, როგორც ერთხელ, სიზმარში რომ ხანჯლიანი კაცი დამადგა თავს.

რალა ვქნა? ამათ ჩემი იმედი აქვთ, მე კი...

მაინც რამ გამომაყუყეჩა და ვთქვი: ვიცი თხილამურების ტარება-მეთქი?! ან კი, „არ ვიცი“ როგორ მეთქვა, — სირცხვილი იყო! — ვუსაყვედურე ჩემს თავს — ეს სპორტული ტანსაცმელი მაინც არა მცმოდა...

დილით რომ ავდექი, ერთი პირობა გადავწყვიტე:



რალა გავაგრძელო და, ასე გამოწყობილი ჩავედი ბაკურიანში. დეიდას მეზობლის ბიჭები სიხარულით შემომესივნენ.



მოდი, სულაც არ მივალ-მეთქი, მაგრამ არც ეს ვიკადრე-  
უფრო იმიტომ, რომ ვიცოდი სახლში მომაკითხავდნენ,  
და წავედი...

გაეხარდათ ჩემი მისვლა.  
ხელად სია მიჩვენეს, სა-  
დაც თავში ვეწვრე. ჩემ-  
თვის გამზადებული თხილა-  
მურები იქვე ეწყო თავისი  
ჯოხებით...

იქაურობის კარგად დათ-  
ვლიერებაც კი ვერ მოვას-  
წარი რომ, „მოდინაო!“ —  
შესძახა ჩექმებიანმა ბიჭმა  
და აღმართზე ამომავალი  
ოთხი ბიჭი დამანახა. დანარ-  
ჩენი ბიჭებიც აწრიალდნენ,  
მოუსვენრობა დაეტყოთ.

— აბა, დაეშვი ბარემ!  
ახლავე ნახონ, ვისთანაც  
აქვთ საქმე!..

ჩექმებიანის აზრი ყველას  
მოეწონა. მეცნენ, თხილა-  
მურის თასმები თვითონვე  
შემომაკრეს ფეხებზე, ჯო-  
ხებიც ხელში მომაჩერეს,  
მაგრამ გავინძრე ო დ ი?..  
ოუმცა სარკეში არ ჩამისე-  
დავს, მაგრამ იმ წუთში  
ჩემი თავის დამახსოვრება  
მანც კარგად შევძელი:  
ფეხებგაჩახული, ჯოხებ-  
ჩამოპორწიალებული, — ყა-  
ნის საფრთხობელას ვგავ-  
დი.

საკვირველია, არა?! ცო-  
ტა ხნის წინათ დიდი პატი-  
ვით მიღებული კაცი ასე  
უცბად უმოძრაო საფრთ-  
ხობელას რომ დავემსგავსე!

ჩემი გუნდის წევრები სულგანაბულნი შემომცქერო-  
დნენ...

ვითყვი, რომ არ ვიცი, მაგრამ როგორ? ესეც სირცხ-  
ვილია უკვე! — გავიფიქრე აკანკალებულმა.

დაღმართს ჩავხედე, — უფსკრულად მომეჩვენა, უფ-  
სკრულიდან კი, პირდაპირ ჩემსკენ, თხილამურებზე შემ-  
დგარი ქვემოუბნელები მოაბიჯებდნენ...

— რაღას უყურებ! — შემომიტია მოთმინებიდან გა-  
მოსულმა ჩექმებიანმა და ხელი მკრა...



ერთ-ორჯერ ყირამალა გადაგორების შემდეგ იქვე ჩავჯექი.


— არ მინდა-და... — ყრულ აღმომხდა და ერთი-ორ-  
ჯერ ყირამალა გადაგორების შემდეგ იქვე ჩავჯექი...

მართალია, ხელი მკრეს, მაგრამ ვინ არ მიხვდებოდა,  
რომ ამ საქმეში დიდი მცოდნე კი არა და სრულიად გა-  
მოუცდელი ვიყავი.

ჩემმა ბიჭებმა სიცილი შეიკავეს, უფრო ქვემოუბნე-  
ლების დასანახად, მაგრამ ერთმა მათგანმა შეშფოთებით  
წასჩურჩულა ამხანაგებს:

— ჩქარა, სიიდან ამოშალეთ!





## ნორჩი ავტორები

ბავშვებო, მრავალი თქვენგანი უფროსად „პიონერის“ მკითხველია. თქვენ სწორად უკავშირდებით ჩვენს რედაქციას ბარათებით, მოდისართ პირადად, აწყობთ მკითხველთა კონფერენციებს, სადაც იხილავთ უფროსებში დაბეჭდილ მასალებს, იწონებთ მათ, ან შენიშვნებს იძლევით, გამოთქვამთ სურვილებს. ბევრ თქვენგანს უფროსად „პიონერი“ იცნობს აგრეთვე, როგორც ნორჩ ავტორს. ჩვენი რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის უფროსად „პიონერის“ რედაქციაში თქვენი ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები, თუ გასართობები. მათგან საუკეთესოებს უფროსად აქვეყნებს მოსწავლეთა შემოქმედების გვერდზე.

ნორჩი ავტორები უმღერაინ ჩვენს დიად სამშობლოს, დიად კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ადამიანების მიღწევებს.

კომუნისტების მშენებლობანი, სამშობლოს თვალწარმტაცი პეიზაჟები, მშობლიური სკოლა, საყვარელ აღმზრდელთა სახეები. აი, რას ვხვდებით ყველაზე მეტად ნორჩ ავტორთა შემოქმედებაში.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის საშუალო სკოლის მოსწავლე ვახტანგ კვიციანი დიდი რუსი პოეტის — მაიაკოვსკის სახლმუზეუმისაკენ მიიჩქარის:

„მადლევებს მისი დანახვა,  
მე მუდამ აქეთ ვიჩქარი,  
ამ სახლის ნათელ ჭერიდან  
ამოციმციმდა ცისკარი.“

ამავე რაიონის სოფელ დიდველას საშუალო სკოლის მოსწავლე გ. ლაბაძე კი ყამირ მიწებზე მომუშავე ახალგაზრდობის გამირობას აღუფრთოვანებია:

„როგორ შეგამკოთ ვაჟკაცნო,  
რა სიტყვით უნდა გადილოთ?  
ჭკითხეთ: რად მღერის ბუღბუღი,  
სხვენზე რად ქარვობს აკილო...“

მაშინ მიხვდებით, ამ ჩემს გულს როგორ მოჭვინეთ სიამე,

ან რატომ არის, ძვირფასნო,  
ლექსით რომ შეგეხმიათ.“

მიმართავს ნორჩი ავტორი ყამირ მიწებზე წასულ კომკავშირელებს.

მაგრამ არის გარკვეული ნაწილი ნორჩი ავტორებისა, რომელთა მოთხრობებსა თუ ლექსებს უწიგნურობის კვალი აწის. ეს განსაკუთრებით არ მიეტივება მაღალი კლასის მოსწავლეებს; ზოგიერთი მათგანი ლექსის ელემენტარულ კანონებსაც ვერ ფლობს. მათ ლექსებში რიტმი არეულია, რითმები ან სუსტია, ანდა სრულიად არ გააჩნიათ. წერენ ცუდი, გაუშართავი ენით.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„მას ბროლისფერ სახეზე  
ღიმილი დასტყობია,  
შეხე მისა წვერ-ულვაშს  
თოვლს რომ ემსგავსებია.“

ახე გვიხატავს ერთი ნორჩი ავტორთაგანი თავის აღმზრდელ მოსწავლეებელს. მეორე მოსწავლე კი ასე მიმართავს პედაგოგს:

„შრომას არსად დავიზარებთ  
თესვაში თუ მკაში,  
რომ არ შეგვრცხვეს შენს წინაშე  
სინამდვილის თქმაში.“

მართალია, ეს ნორჩი ავტორი მე-5-ე კლასის მოსწავლეა, ამდენად მის ლექსს მკაცრად ვერ მივუდგებით, მაგრამ ნორჩმა ავტორებმა აქედანვე უნდა დახვეწონ თავიანთი მეტყველება, დაეუფლონ ქართულ სალიტერატურო ენას. მათ შემოქმედებაში სწორად ვხვდებით აგრეთვე ბუნდოვან სახეებს, გაუგებარ სტრიქონებს. ძნელია გავიგოთ რის თქმა სურდა მაგალითად ამ სტრიქონების ავტორს:

„წიგნი მქონდა  
იარაღად დაჭერილი,  
როს მიყვარდა  
ლერმონტოვით გალაშქრება.“

სამწუხაროდ, ზოგჯერ რედაქცია მოსწავლეებისაგან ლეზულობს ისეთ ლექსებსაც, სადაც ვხვდებით ცნობილი პოეტების ლექსებიდან ნახესებ სტრიქონებს, და მთელ სტროფებსაც კი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნორჩი ავტორები სწორად განიცდიან თავიანთი საყვარელი მწერლებისა თუ პოეტების გავლენას. ეს გასაგებია. ამ ასაკში ისინი გვერდს ვერ აუვლიან ასეთ გავლენას. მაგრამ დროთა განმავლობაში დაიხვეწება მათი პოეტური ხმა. მაგრამ უკვე საკმაოდ მოზრდილ ავტორს არ ეპატიება სხვა ლექსებიდან მზამზარეულად გადმოტანა პოეტური სახეებისა, სტრიქონებისა და სტროფებისა. აქ უკვე გავლენასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სხვისი ნაწარმოების მითვისებასთან, ეგრეთ წოდებულ პლაგიატობასთან. ნორჩი ავტორებო, თქვენ უნდა ერიდოთ ამას. ამ რამდენიმე თვის წინათ ერთმა ასეთმა ნორჩმა ავტორმა — ჯ. ადამიამ რედაქცია უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო: იგი სწორად გვიგზავნიდა რაიონიდან საკუთარ ლექსებს; მას გიცნობდით, როგორც ნორჩ ავტორს, ვენდობოდით, მან კი რედაქციის ნდობა ბოროტად გამოიყენა — თავის რამდენიმე ლექსთან ერთად გამოგვიგზავნა ლექსი „სიმღერა“. შემდგომ აღმოჩნდა, რომ ეს ლექსი შეიცავდა სტროფებს, ამოღებულს ერთ-ერთი ქართველი პოეტის რამდენიმე ლექსიდან. ეს უკვე ლიტერატურული ჩურღობაა. ასეთ მოვლენას ლიტერატურულ ენაზე პლაგიატობა ეწოდება. სამწუხაროდ, რომ ჯ. ადამია ამ გზას დაადგა.

ნორჩი ავტორებო, ამ მავნე ჩვეულებას უნდა ერიდოთ. იგი მავნეა, და არაფითარ შემთხვევაში სარგებლობას არ მოგიტანთ.

უფროსად „პიონერის“ რედაქცია სწორად უგზავნის წერილებს ნორჩ ავტორებს. უთითებს მათი შემოქმედების ხარისხებს, აძლევს რჩევადარიგებებს, მაგრამ ნორჩმა შემოქმედებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათი საუკეთესო დამრიგებელი, მოსწავლეებელი ამ შემთხვევაში არის წიგნი. ისინი უნდა დაეწაფონ წიგნს, გაიზარდონ ცნობილ მწერართა ნაწარმოებებზე, ჩვენს კლასიკურ მემკვიდრეობაზე. და, რაც მთავარია, არ უნდა ეწყინოთ დარიგება, გული არ უნდა გაიტეხონ.



# კამოთხვა



ნახ. დ. ხახუტაშვილისა

ა. კარბელაშვილი

(ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო - ფ ა ნ ტ ა ს ტ უ რ ი მ ო ტ ხ რ ო ბ ა)

თამაზი კედლისკენ გადაბრუნდა. ფიქრები სულ უფრო ბუნდოვანი ხდებოდა და ალბათ ჩაეძინებოდა, მეზობელი ოთახიდან გაბმული ხმა რომ არ შემოსმოდა: ტრა-ტრა-ტაა...ტრ... „მგონი ინეინერი ჯერ არ მოსულა და რა უნდა იყოს?“ — გაიფიქრა, თვალები გაახილა. ოთახში ბნელოდა. სულ უფრო გარკვევით მოისმოდა კედლიდან ხმაური. ლოგინიდან წამოიწია, კედელს ყური მიადო. ცოტა ხანს ასე იყო, მერე ისევ ბალიშზე მისდო თავი. იქნებ ბებიას დაუძახოს? მაგრამ აბა, ბებია როგორღა მიხვდება რა ხმაურობს ინეინრის ოთახში.

ლოგინში ველარ მოისვენა. საბანი გადაიხადა, წამოდგა და ოთახში სინათლე აანთო. ტელეფონთან მივიდა. სწრაფად აკრიფა ინეინრის ტელეფონის ნომერი. ყურმილში გაბმული, დაბალი ტონის სიგნალები გარკვევით ისმოდა. ერთხელ... ორჯერ... ექვსჯერ. არავინ პასუხობდა — ინეინერი შინ არ იყო.

ფრთხილად დაკიდა ყურმილი და ფლოსტების ტყაპა-ტყუპით საწოლისაკენ წავიდა.

როცა საბანში ჩაიფურთა, კედელს ისევ მიადო ყური. ტრა-ტაა...ტრ...ტრა... — არ წყდებოდა კედლიდან.

დიდხანს უგდებდა ყურს. თვალები მიელულა.

\* \* \*

მეორე დღეს სკოლაში მისვლისთანავე ამხანაგებს უამბო ყველაფერი.

— კედლიდან ისმოდა ხმაური? — გაიცინა ოთარმა. — რა, სურამის ციხე ხომ არ არის, რომ ვინმე ჩაეტანებინოთ კედელში!

— დიდი ხანია თქვენი სახლი ააშენეს? მართლაც, იქნებ ასეა?! — ახლა ნაწულიმ თქვა ირონიით.

— თქვენ ხუმრობთ, მე კი სიმართლეს ვამბობ. ინეინერი სახლში არ იყო, — ეწყინა თამაზს. ვერ იქნა, ვერ დააჯერა ამხანაგები, რომ წუხელ ნამდვილად ესმოდა კედლიდან რაღაც ხმაური.

იქნებ ტელეფონი არ მუშაობდა და ინეინერი სახლში იყო? — ბოლოს თვით დაეჭვდა.

და სალამოს, როცა ფანჯრიდან სახლში მომავალი ინეინერი შეამჩნია, კიბეებზე შეეგება.

— ბიძია გოგი, თქვენი ტელეფონი მუშაობს?

— მუშაობს. რატომ მეკითხები?

— არა, ისე... უბრალოდ.

ჩვეულებრივზე აღრე დაწვა და კედელს აეკრა.

— რა დაგემართა, ბიჭო? რას ეძებ მაგ კედელში?! გაცივდები! მოსკოვიდან ჩამოსულ დედ-მამას გინდა ავადმყოფი დახვდე?! ახლავე დაიხურე საბანი.

— ბები, შენი კირიმე, ერთ წუთს მოდი, გენაცვალე.

ბებია საწოლთან მივიდა. შევილიშვილს სიყვარულით დახედა და საწოლზე ჩამოჯდა.

— აქეთ მოიწი, ყური დაუგდე. ჰო, ასე. გესმის კედლიდან ხმაური?

— რა უნდა მესმოდეს! არაფერი.

— სულ არაფერი?

— როგორ არა, რაღაც აკაკუნებს.


— აი, ხომ ხედავ, მე მართალი ვარ, ამხანაგებმა კი არ დამიჯერეს სკოლაში.

ბებია საწოლიდან ადგა.

— ჩვენი მეზობელი ინეინერი იქნება, ალბათ რაიმეს ჩხირკედლაობს.

— ინეინერი გუშინ სახლში არ იყო, ხმაური კი მესმოდა.





— მართლაც, შვილო?

— დედას გეფიცები.

— რაიმე იქნება, დაიძინე. — უთხრა ბებია, მაგრამ ეტყობოდა თვითონაც დაინტერესდა ამ ამბით.

— რას ამბობ, ბები, ყურში რაღაც მიკაქუნებს, მენ კი მეუბნები დაიძინეო.  
სწრაფად წამოვარდა ლოგინიდან, ჩაცმას შეუდგა.

— რას შვრები, შვილო, სად მიდისარ?  
ბიჭი არ ვიყო, თუ არ გავიგო რაშია საქმე. ჯერ ინჟინერთან შევალ და მერე...

ერთხელ კიდევ მიადო კედელს ყური. ხმაური აღარ ისმოდა. „საკვირველია! თითქოს გაიგო, რომ მიგნებას ვუპირებდი. საკვირველია!“ — გაცემით ფიქრობდა თამაზი. ვერაფერს მიმხვდარაყო.

\* \* \*

— ოთარ, ნოდარ, ნანული! — ქაქანით მივარდა სკოლაში თამაზი. — ისევ ისმის... აი, ახლაც კი, შუადღისას...

თამაზი აღელვებული იყო. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.  
— სირბილით წამოვალთ შენთან, გაკვეთილებს მოკუსწრებთ.

ცოტა ხნის შემდეგ ყველანი ფაცი-ფუცით თამაზის სახლში შევიდნენ.  
თამაზის ოთახში კედელთან საწოლი იყო და დაბალ სკამებზე ჩამომსხდარ ბებიას და გრძელუღვაშა მეეზოვეს კედელზე მიედოთ ყური.

მეეზოვე ფეხზე წამოდგა.  
— კარგად მესმის რაღაც ჩხაკ, ჩხუკ... ჩხაკ, ჩხუ-უუკ. რა უნდა იყოს კედელში, არ ვიცი. საჭიროა სახანძრო რაზმის გამოძახება.

და ტელეფონისაკენ გაემართა.  
— მოიცა, რაჟდენ, აი, მოწაფეები მოვიდნენ. ასე თუ ისე, ნასწავლი ხალხია. ყველაფერს გამოირკვევენ, — შეაჩერა ბებია.

— თქვენი ნებაა, ხაზეიკა.  
რაჟდენი ისევ სკამზე ჩამოჯდა. ბავშვებს დაუწყო თვალთვლება. ისინი კი კედელს მიყრდნობოდნენ. ბებია ერთი-ორჯერ პირჯვარი გადაიწერა, რაც, რასაკვირველია, მეეზოვის ფხიზელ თვალს არ გამოეპარა.

— ნუ გეშინია, ხაზეიკა, ნუ გეშინია.  
თვითონ კი გულში ფიქრობდა: „ვაჰ, რა უნდა ჩამძვრალიყო კედელში, მართლაც რაღაც კუდიანი ეშმაკი ხომ არ არის?! რამდენი წელიწადია ამ სახლში ვმუშაობ და ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. საშიში ამბავია!“

— ნეტავ, ინჟინერი სახლშია? — იკითხა ნანულიმ.  
— არა შვილო, დილით სამსახურში წავიდა.  
— მეც დავინახე, ქუდიც მოვუხადე, — დაუდასტურა ბებიას მეეზოვემ.

ოთარმა შემთხვევით კარისაკენ გაიხედა და შეამჩნია, რომ თამაზისა და ინჟინრის ოთახებს საერთო აივანი ჰქონდა, მხოლოდ დაბალი ტიხრით იყო გადალობილი. ინჟინრის ოთახის კარი ღია მოჩანდა. „რა იქნება, ტიხრზე გადავძვრეთ და ოთახში შევიხედოთ. ნამდვილად კედლიდან, თუ ინჟინრის ოთახიდან ისმის ხმაური?“ — გაიფიქრა და მაშინვე თავისი აზრი მეგობრებს გაუზიარა.

— უხერხულია, — თქვა ნანულიმ, — როგორ შეიძლება სხვის ოთახში შეხედვა.

— ჩვენ ხომ მხოლოდ ხმაურის მიზეზით გვინდა გავვიგოთ?

კარგა ხნის ბჭობის შემდეგ, ტიხრზე გადამძვრალთამაზი, ოთარი და კიდევ ორი ბიჭი ფრთხილად მიუახლოვდნენ ინჟინრის ოთახის კარებს. შეიხედეს. ოთახში არავინ ჩანდა. თამაზმა ერთი ნაბიჯი შედგა ოთახში. ყური მიუგდო.

— ხმაური არ ისმის აქ, — თქვა მან და უცებ... ოთახში გარკვევით გაისმა საიდუმლო კაკუნი. შეშინებულნი ტიხრს ეცნენ და ერთმანეთს აღარ აცდიდნენ უკან გადაძრომას.

— რა მოხდა, რა იყო?  
ბებია და მეეზოვე გაკვირვებით შესცქეროდნენ ბავშვებს, რომლებსაც შიშისაგან ფერი წასვლოდათ.

— ვინ არის ინჟინერთან?! ნე იმას სეირს ვუჩვენებ.  
— მეეზოვე დერეფანში გავარდა, დიდი ცოცხი შენიტანა, — მე კარგად ვიცი ქურდების ჰკუის სწავლება. თამაზი წინ გადაუდგა მეეზოვეს.

— არა, ოთახში არავინ არის.  
— მაშინ, ვინ შეგაშინათ?  
— რაღაც პატარა მანქანა დგას კედელთან და ის აკაკუნებს, ახლა მიგხვდი.

— როგორ თუ აკაკუნებს! — გაცხარდა მეეზოვე, — ვინ მისცა ამის უფლება? რატომ აშინებს მეზობლებს!

— უცნაურია, როგორც კი თამაზმა თქვა: ხმაური არ ისმისო, მაშინვე ატეხა მანქანამ კაკუნი, — დაფიქრებით ჩაილაპარაკა ოთარმა.  
მეეზოვე ნერვიულად აწვალებდა ცალ უღვაშს.

\* \* \*

თამაზს დღეობაზე ბევრი ამხანაგი ეწვია: ოთარი, ნოდარი, ნანული... ლამის მთელი კლასი. თამაზის მამას მწერლები დაეპატიჟა, რაკი თვითონ იწერალი იყო.

— შვილო, თამაზ, — შემოვიდა სტუმრებით სავსე ოთახში ბებია, — სასიხარულო ამბავი მომაქვს. იცი შენთან ვინ მოვიდა? ძია გოგი — ჩვენი მეზობელი ინჟინერი.

თამაზი და ამხანაგები წამოცვივდნენ. დერეფანში ინჟინერი პალტოს იხდიდა.  
— რა კარგია, რომ მობრძანდით! — სიხარულით შესძახა თამაზმა. — დღეს ჩამობრძანდით მივლინებიდან?

— დიახ, ჩემო თანაზ. აბა, მოგილოცავ დაბადების დღეს, მიიღე პატარა საჩუქარი, — და მან კოხტა წიგნი გაუწოდა. წიგნს ლამაზი ასოებით ეწერა: „გიყვარდეთ ტექნიკა“. მისი ავტორი თვით ინჟინერი იყო.

— გმადლობთ, ძია გოგი. გვაპატიეთ, რომ თქვენს ოთახში შევიხედეთ, გვანტერესებდა...  
— არაფერია, არაფერი. მეეზოვე რაჟდენმა ყველაფერი მიამბო, — ხელი გადახვია თამაზს და სტუმრებით სავსე ოთახში შევიდა.

ინჟინერი გულთბილად მიესალმა იქი მყოფთ, რბილ დევანზე ჩამოჯდა.  
ბავშვები ინტერესით შეჰყურებდნენ ინჟინერს. ისიც კარგად გრძნობდა, თუ რას ელოდნენ მისგან პატარები.

— პატივცემულო გოგი, — თქვა თამაზის მამამ, — ყოველმა ჩვენგანმა იცის ამასწინათ მომხდარი ამბავი და ძალიან გვანტერესებს, რატომ ისმოდა თქვენი



ოთახიდან. რაღაც საოცარი ხმაური. მეეზოვემ გარკვევით ვერ აგვიხსნა, თუმცა თქვენ ამაზე გილაპარაკიათ მასთან. თუ საიდუმლო არა არის, ჩვენ სიამოვნებით მოვისმენთ თქვენს განმარტებას.  
— როგორც მეეზოვემ გადმოცა, თამაზს საღამომობით ჩემი ოთახიდან კაკუნის მსგავსი ხმა ესმოდა. ეს



შეშინებულნი ტიხრს ეცნენ და ერთმანეთს აღარ აცდიდნენ უკან გადაძრომას.

და ლაპარაკი ასობედა დაუბეჭდავს. თქვენ შეგშინებიათ. სახლში რომ დავბრუნდი, ქალაღზე წავიკითხე ეს სიტყვები. სასაცილო ამბავი მომხდარა: ავტომატ-მანქანას ქალაღის მთელი მარაგი დაუხარჯავს, რაკი განუწყვეტელი უბეჭდია რადიოში გადმოცემული ლაპარაკი. თუ გსურთ, მე ავტომატ-მანქანას დაგათვალიერებინებთ.

ვინ იტყოდა უარს!

ცოტა ხნის შემდეგ ინჟინრის ოთახში მოიყარეს სტუმრებმა თავი.

— ხომ ხელავთ მანქანაზე სათითურებს? ჩვეულებრივ, ამ სათითურებს მემანქანე ქალი ამოძრავებს თითებით. მე სათითურების თავზე ელექტრომაგნიტები მოვაწყე. თითის მაგივრად ისინი აწვიბიან მათ. იმისათვის, რომ ამა თუ იმ სათითურის ელექტრომაგნიტმა იმოქმედოს, საჭიროა შეიკრას გარკვეული ელექტროწრედი. თუ ადამიანმა წარმოთქვა ასო „ა“, უნდა იმოქმედოს „ა“ სათითურის თავზე დაყენებულმა ელექტრომაგნიტმა და დააწვეს მას. ძნელი იყო ასეთი მოწყობილობის შექმნა, მაგრამ ახლა სიძნელები უკან არის. თუ ვიტყვით სიტყვას „ჩიტი“, ჯერ „ჩ“ ასოს სათითური ამუშავდება, შემდეგ „ი“ ასოს სათითური და აე შემდეგ. ეს ძალიან სწრაფად ხდება, ამიტომ საბეჭდი მანქანის კონსტრუქცია ძლიერ შეიცვალა. ახლა თქვით რაიმე სიტყვა, ოღონდ მარტო ერთმა.

— მე! მე! — წამოიძახეს ბავშვებმა.

— რიგრიგობით! — წყნარად წარმოთქვა თამაზის მამამ, რომელიც, სხვა ამხანაგ მწერლებთან ერთად განცვიფრებით შეჰყურებდა მისთვის ძალიან საჭირო გამოგონებას.

— თამაზ, შენ ილაპარაკე, — უთხრა ინჟინერმა თამაზს, — აბა, მანქანა-ავტომატი მზად არის.

— დღეს ჩემი დაბადების...

მანქანა მყისვე აკაკუნდა...

მართლაც საბეჭდი მანქანის მსგავსი მანქანა არის.

— მაგრამ პირველ საღამოს, როცა მანქანა მუშაობდა, თქვენ სახლში არ ბრძანდებოდით. მე ტელეფონით დაგირეკეთ, — გაიკვირვა თამაზმა.

— მართალი ხარ, თამაზ. მანქანაზე მუშაობის დროს ტელეფონს ხაზიდან გამოვთიშავდი ხოლმე, რომ არავის შეეშალა ხელი. ახლა, თამაზი და მისი მეგობრები სიტყვას მომიჭრიან, როგორ მოხდა, რომ დღისით როცა მე სამსახურში ვიყავი, მანქანა მაინც განაგრძობდა მუშაობას. მე შემთხვევით ჩართული დამჩინოდა რადიო და რასაც კი რადიო ლაპარაკობდა, მანქანა ყველაფერს ასობედა ბეჭდავდა ქალაღზე.

— როგორ?! — ერთხმად აღმოხდა ყველას.

— სულ დამავიწყდა მეთქვა: მე ისეთი მანქანა დავამზადე, რომელიც ლაპარაკს ასობედა ბეჭდავს. მაგალითად, თამაზი იტყვის ლექსს, ის კი ქალაღზე ასობედა დაუბეჭდავს, როგორც მემანქანე ქალი. ამიტომაც იყო რომ, რადიოში რაც ისმოდა, მანქანა ავტომატურად ბეჭდავდა. როცა ჩემს ოთახში შესულხართ. — გაიღიმა ინჟინერმა, — რადიოში შესვენება ყოფილა, მანქანაც აღარ მუშაობდა, მაგრამ როგორც კი თამაზს უთქვამს — ხმაური არ ისმის, მანქანა ახმაურებულა



ყველა ავტომატში ჩადებულ ქაღალდს დააკვირდა. ქაღალდზე საკვირველი სისწრაფით იბეჭდებოდა ასოები.

ინჟინერმა მანქანა გამორთო.

— ვნახოთ რა დაბეჭდა.

ქაღალდზე დაბეჭდილი იყო სიტყვები: „დღეს ჩემი დაბადების დღეა“.


— მე ვფიქრობ, და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ავტომატი უდიდესი გამოგონებაა. ეს გამოგონება ხომ პირდაპირ მისწრებაა ჩვენთვის — მწერლებისათვის. და საერთოდ ბევრი სხვა სპეციალობის ადამიანისათვის. სულითა და გულით გილოცავ, ჩემო გოგი, — და თამაზის მამამ ინჟინერს მაგრად ჩამოართვა ხელი.

— ახალი გამოგონებისათვის, — თქვა ინჟინერმა, — უბირველესად საჭიროა არსებობდეს ახალი იდეა, ახალი აზრი. ალბათ გაინტერესებთ საიდან დამებადა ამ ავტომატის შექმნის აზრი, არა, ეს აზრი მე არ მომსვლია თავში, მისი იდეა სხვამ მომცა. ერთხელ ნაცნობ მწერალთან შევედი. ნადირობის დროს მარჯვენა ხელი სტყენოდა. კარნახობდა და მისი პატარა ბიჭუნა წერდა ქაღალდზე. როცა ბიჭუნამ დამინახა, მითხრა: ბიძია გოგი, თქვენ ინჟინერი ხართ და რა კარგი იქნებოდა ისეთი მანქანა გამოგეგონათ, — რასაც ადამიანი ლაპარაკობს, ქაღალდზე ასოებად ბეჭდავდესო. მაგრად გამიჟღა გონებაში ეს აზრი. ველარ მოვეშვი, სანამ მანქანა-ავტომატი არ დავამზადე. ბიჭუნას პატივსაცემად კი, ვინც ეს შესანიშნავი იდეა მომცა, გადავწყვიტე მანქანა-ავტომატისათვის მისი სახელი დამერქმია. როცა მოსკოვში წარვადგინე ნახაზები, მოვითხოვე ავტომატისათვის მისი სახელი მიეკუთვნებინათ. გუშინ მოსკოვიდან პასუხი მოსულა, მანქანა-ავტომატს... „თამაზის ავტომატი“ ჰქვია.

თამაზს სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა თვალებზე.

ინჟინერი თამაზთან მივიდა, გადაეხვია და უშუბლზე აკოცა.

ასე დაერქვა ჩვენი ეპოქის დიდ გამოგონებას პატარა ბიჭის სახელი.



### თოვლში

გაპკრა ბაბუა ზამთარმა —  
ზეცა გაფხრიწა ნეკითა,  
დაეშვა თოვლის ფანტელი,  
ერთმანეთს გამოეკიდა.

გულს ეცნო ასიათასი  
მსუბუქი ფრთების ფარფატი,  
იგება თეთრი ფთილეების  
მოუთელავი ნაბადი.

ითოვოს, ბლომად მოთოვოს,  
სულ გადაბარდნოს მთა-ბარი;  
ხშირად გვასმინოს ზამთარმა  
ეს ჯადოსნური ზღაპარი.

მოდის და მოდის ულევი  
სპეტაკი თოვლის ქულეები,  
სათხილამურო გუნებით  
აძგერებულა გულეები.


აბა, გიყვარდეს სრიალი!  
სულმოუთქმელად ვეშვებით,  
გზა და გზა გუნდებს გვაყრიან  
ნაძვები სავსე პეშვებით.

უმტვერო თოვლის ქულეები  
თავ-პირზე ჩამომეყარა,  
აღმა და დაღმა ქროლვაში  
ჩემი მგონია ქვეყანა!

და წუთით როცა შედგები —  
გულს მოიოხებ სრიალით —  
კვლავ გაგიბამენ საუბარს  
ფიფქები ჩუმი შრიალით.

შენ, იშვიათო სტუმარო,  
გიშნოებს ჩვენი მთა-ბარი.  
გვასმინე, ბევრჯერ გვასმინე  
ეგ ჯადოსნური ზღაპარი.





ნაზი კილასონია

ნახ. გ. თოთიბაძისა

# ნორჩი მესანძრეები

ნ ა რ კ მ მ მ მ

## ვინ ასწავლა?

მოსწავლის ფორმაში გამოწყობილმა ქერა ბიჭუნამ ჩქარი ნაბიჯით გაიარა ქვაფენილი. წიგნებით სავსე ჩანთა ამძიმებდა. მაინც არ შეანელა სიარული. არც მაშინ გაჩერებულა, ტოლებმა რომ დაუძახეს. არა, დღეს მათთვის არა სცალია. აი, მივა ახლა სახლში, ჩხლებს დაიბანს, მაგიდასთან დედის ნამზადს მიუჯდება. მერე კი...

იქნებ თედოს ტოლებს ჰგონიათ გარეთ გამოვარდება მათი მეგობარი? სიმღერით ჩაირბენს კიბეებს, სწორებს მოიკითხავს და სალამოდე ღარჩენილ დროს მათთან გაატარებს? არა. ტყუილად ჰგონიათ. მივა თუ არა, წიგნებს უნდა დაუტრიალდეს, გაკვეთილები დაამზადოს. ბიჭები ამას რომ გაიგებენ, გაიცინებენ, იტყვიან — მოსცილია, შაბათია, დღეს რომ საორშაბათო გაკვეთილებს ამზადებს, კვირა სად წაუვარა? რა მათი საქმეა! თედომ კი კარგად იცის, სადაც უნდა გაატაროს კვირა. კვირას ხომ...

ფიქრებში წასული ბიჭი ქალის კვილინა გამოაფხიზლა. ზასულიძის ქუჩასთან გასულიყო უკვე. № 4 ეზოდან გამოდიოდა კვილი:

„ხანძარი! ხანძარი!“

ეზოს მცხოვრებლები გარბი-გამორბოდნენ. უმთავრესად ქალები და ბავშვები იყვნენ. პატარებს თვალები გაფართოებოდათ შიშით, ზღუ-

ქუნით დასდევდნენ თავგზააბნეულ დიასახლისებს.  
ხანძარი!



ნორჩი მესანძრე ბორის კონსტანტინოვი.

თედომ ჩანთა განზე ისროლა, კიბის საფეხურები სუნთქვაშეკრულმა აირბინა. აივანზე აქოთქოთებული ქალები გზიდან ჩამოიცილა და ოთახში შევიარა. ოთახში ბოლი იდგა უყურადღებოდ მიტოვებულ ელექტროუთოს მაგიდა ამოეწვა, ცეცხლი ახლა წიგნების თაროს ედებოდა და მთელი ოთახისაკენ აპარებდა ბოროტ თვალებს.

— მიშველეთ! მიშველეთ! — გაჰკიოდა დიასახლისი. ვერც წყალმა უშველა რამე, ვერც მეზობლების მიერ შემოტანილმა ფარდაგმა.

„დენი კვლავ ჩართულია!“ გაუელვა თავში ბიჭუნას. იგი არ დაიბნა, ელექტრომრიცხველს მივიარდა, წამში გამოაძრო ელექტროსაცობები, ამით დენი შეწყვიტა, უთო შტეპსელიდან გამოთიშა და ცეცხლს ფარდაგი გადააფარა. სახანძრო რაზმის მანქანა ყურისწამლები წივილით შემოიჭრა ეზოში. თედომ გაულო კარები, რკინის ზუჩებით თავმართულ მესანძრეებს უბატაკა. დატრიალდნენ მესანძრეები. რეზინის ლულებიდან წყალმა იხუვლა. ნელინელ დაცხრა ცეცხლი, წყალმა აჯობა.

— ელექტროუთო უყურადღებოდ არ უნდა მიგეტოვებიათ მაგიდის ფიცარზე. საჭიროა რკინის სადგმელი იხმაროთ ყოველთვის. შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ისე მიუბრუნდა ბიჭი დიასახლისს. შიშნაჭამ ქალს ფერი წასვლოდა.


— გაეზარდე, შვილო, შენს დედას.





ნორჩმა მეხანძრეებმა კიბის უჯრედში გაშალეს სახელურის ხაზი და მელულენ წყლის ძლიერი ჩქერი მიუშვა ხანძრის კერიხაკენ.

— რა გვარი ხარ, ბიჭიკო? — ის-  
მოდა აქეთ-იქიდან.  
გაბედულმა ბიჭმა ახლა კი დაი-



სახელურის ხაზით შეიარაღებული ნორჩი მეხანძრე მელულენ გასაშლელი კიბის საშუალებით მიემართება ხანძრის ადგილისკენ.

შორცხვა. სახეზე სიწითლემ გა-  
დაუარა. უხერხულობის დასაფარა-  
ვად იქვე მდგარ პატარა გოგონას  
გადაუსვა თავზე ხელი.

— აღამიანო, სულაც არ დაიბნა.  
გამოცდილი კაცივით დატრიალდა.—  
ტუტუნებდა რომელიღაც ბებია და  
თავს აკანტურებდა.

— მადლობელი ვარ, შვილო,  
მადლობელი. — მესაედ ისდიდა  
მადლობას ცრემლმორეული დი-  
სასხლისი.

— მაინც ვინა ხარ, გენაცვა? —  
არ ეშვებოდნენ თედოს ქალები.  
როგორც იქნა გაიგეს, რომ მათი  
მშველელი თბილისის 30-ე სკოლის  
მე-6 კლასის მოსწავლე თედო  
გრძელიძე იყო.

წამოსვლისას კიბეებზე ჩამო-  
ჰყვნენ. ახალგაზრდები მადლობას  
უხდიდნენ, ხნიერები ლოცავდნენ.

— მაინც ვინ გასწავლა თედო ეს  
საქმე?  
ვინ ასწავლა?...

### კვირა დღის

წელან ხანძარმა შეაწყვეტინა თე-  
დოს ფიქრი. კვირა დღის გეგმას რომ  
აწყობდა, სწორედ მაშინ შემოესმა  
„გვიშველეთ, გვიშველეთო“. მო-  
დით, დღეს თავი დავანებოთ თე-

დოს. მარტო მივიდეს სახლში, სა-  
ხანთებულმა უამბოს დედას ხან-  
ძრის შესახებ და, ვინ იცის, არც  
ამხანაგებს გაუტეხოს ხათრი. ახალი  
ამბავი დაწვრილებით მოუყვეს და,  
ცოტა არ იყოს, ამაყად გადმოხე-  
დოს: „თქვენ განა ამას შესძლებ-  
დითო?!“

ჩვენ კი კვირა დღით ადრე ავ-  
დგეთ და თბილისის პიონერთა და  
მოსწავლეთა სასახლის კარებთან  
დაველოდოთ თედოს. ათს რომ  
თხუთმეტი წუთი დააკლდება, სწო-  
რედ მაშინ მოვკრავთ თვალს. აი,  
თურმე სად დადის კვირაობით. ესე-  
ნი ვინდა არიან, ფეხდაფეხ რომ  
მოსდევენ თედოს კიბეებზე, სიცი-  
ვისაგან ლოყები შესწითლებიათ.  
იცინიან, მოიჩქარიან. ბარემ გავიც-  
ნოთ: 43-ე სკოლის მე-8 კლასის  
მოსწავლე ბორის ზელდკინი, 66-ე  
სკოლის მეოთხეკლასელი, ახერბაი-  
ჯანელი — ბახტიარ ყურბანოვი,  
იეზიდი — ხალილ შამოევი, 47-ე  
სკოლის VII კლასის მოსწავლე —  
მიშა ჯიოშვილი, ტანმორჩილი ბო-  
რის კონსტანტინოვი... და რომელი  
ერთი ჩამოვთვალოთ კიდევ. ყველა  
ისინი საერთო ინტერესმა დაამე-  
გობრა.

თბილისის პიონერთა და მოსწავ-  
ლეთა სასახლე ათასობით ნიჭიერი  
ბავშვის კერაა. მის კაბინეტებში  
ეუფლებიან მშობლიურ ენასა და  
ლიტერატურას ნორჩი ლიტერატო-  
რები, პლანერებს აფრენენ ავიამო-  
დელისტები, აბრეშუმის პარკს დას-  
ტრიალებენ ნორჩი მეაბრეშუმეები,  
ცდებს ატარებენ ქიმიკოსები, მაგ-  
რამ ახლა რომ მეგობრებს შევხვ-  
დით, ისინი სულ სხვა საქმით არი-  
ან გატაცებულინი.

— რაზმო დაწეყე!  
ფართო ოთახში უხვად შემოდის  
დღის სინათლე. კედლებზე მრავ-  
ალნაირი პლაკატია გაკრული. ისი-  
ნი გვაფრთხილებენ, არ დავტოვოთ  
ბავშვები ცეცხლთან, არ მივატო-  
ვოთ უყურადღებოდ ელექტროქუ-  
რები, ნავთქურები, ვუფრთხილდეთ  
ხანძრის გაჩენის მიზეზებს. აი,  
თურმე რაში ყოფილა საქმე!

— რაზმო, გაითვალე!  
ჩვენს პატარა ნაცნობებს მოსწავ-  
ლის ფორმის გახდა მოუსწრიათ,  
მეხანძრის კოკარდიან ქულებსა და  
მწვანე გიმნასტურებში გამოწყობი-  
ლან, რაზმებად დაწყობილან, რიგ-  
ში გაჭიმულები დგანან და მკა-  
ფიოდ ითვლიან:



— პირველი! მეორე! მესამე!...  
მეათე!...

— მეთოთხმეტე! — გულნაკლულად ჩაიხუტებოდა ნაბოლარა მენახანძრემ.

აგერ სამ წელზე მეტია, რაც თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ განყოფილებასთან არსებობს ნორჩი მენახანძრეთა წრე. აქ მოსწავლეები ეუფლებიან სახანძრო საქმეს, ხანძრის გამომწვევ მიზეზებს, პროფილაქტიკას, ბრძოლას ხანძართან. ეს მათთვის მეტად საინტერესო საქმეა. ისინი გატაცებით მეცადინეობენ. წრის ხელმძღვანელი — იზმაილ ჰასანისძე მაქმავეი — ძალას არ იშურებს, რათა ნორჩი მენახანძრეებს გაუზიაროს თავისი გამოცდილება, ცოდნა.

— ვინ მესაუბრება ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე?

ხელების ტყე აღიმართა.

— არსებობს ხანძრის გამომწვევი ექვსი მიზეზი, — სხაპასხუბით ყვება კონსტანტინოვი, თითქოს გზინია სხვამ არ დამასწროსო. — ელექტრო სელსაწყობის უწყისო ხმარება, ბავშვების ცელქობა, ღუმელების არაწესიერი დაყენება... — თვლის პატარა, სათნოთვალეზიანი ბორისი. არაფრით არ გავს ცეცხლთან მებრძოლ ვაჟკაცს.

— შეიძლება თუ არა აფეთქებულ ნავთქურის წყლით დაქრობა?

— შემოდის ახალი შიკითხვა.

— არა, არა! — აღარ აცლიან ერთმანეთს მენახანძრეები. — ნავთი წყალზე მჩატეა, წყალს ზევით მოქცევა

და ცეცხლი ისევ გაძლიერდება.


— დღიშვილო, რატომ არ შეიძლება ხანძრის დროს წყლით ჩავაქროთ ელექტროგამტარები?

— წყალი თავად ატარებს დენს. ამ შემთხვევაში საჭიროა არა წყალი, არამედ ელექტროგამტარის გადაჭრა სხვადასხვა ადგილზე. — უმატებს გიორგი სარქისიანი.

ამ წრეში 45 მოსწავლე ეუფლება სახანძრო საქმეს. თვალსაჩინოებისათვის მრავალი სახანძრო ტექნიკური შეიარაღების ხელსაწყო გააჩნია წრეს: ცეცხლქრობი, პიდროპულტკასტილები, ლომები, რეზინის ხელთათმანები, ელექტროგამტართა გადამჭრელი მაკრატლები...

მაგრამ ყველზე საინტერესო პრაქტიკული მეცადინეობაა:

მორიგე მენახანძრე ტელეფონით ცნობას იღებს, რომ ამა და ამ ადგილზე ხანძარი გაჩნდა. საგანგაშო ზარს ჩამოჰკრეს. შეიარაღებული ნორჩი მენახანძრეები თავთავის ადგილს იჭერენ სახანძრო მანქანაზე, რომელიც ზრიალით ეშვება დაღმართზე. მთელი ქუჩა გაყვირებული უყურებს ჩვეულებრივ სახანძრო მანქანას, რომელზედაც არაჩვეულებრივი მენახანძრეები სხედან. ობიექტზე მისული მენახანძრეები ისე იჭერენ თავს, თითქოს მართლაც ხანძარი იყო. სწრაფად ცოცდებიან კიბეებზე. მარჯვედ აწოდებენ ერთმანეთს სახანძროსაწინააღმდეგო იარაღს, ცეცხლქრობლებს, სახანძრო ცულებს.



ნორჩი მენახანძრე თედო გრძელიძე

საქმეში ჩაბმულები ვერც კი ამჩნევენ, რომ გარს მათივე ტოლი მოსწავლეები შემოხვევიან. ისინი პატივისცემით შესცქერიან ნორჩ მენახანძრეებს. ზოგმა მათგანმა გულში გადაწყვიტა თვითონაც გაერთიანდეს ამ წრეში. ახლა კი იცდიან, როდის გაათავებენ ნორჩი მენახანძრეები თავიანთ საქმეს. მერე კი აეტორღილებიან, ყველაფერს დაწვრილებით გამოჰკითხავენ და შემდეგ კვირას აუცილებლად შეაღებენ მათი ნათელი ოთახის კარებს — ყველაფერი უნდა ისწავლოს კაცმა!

### კიდევე ერთი საქმე

კიდევე ერთი საქმე. ცოდვა გატეხილი სჯობია: ზოგიერთი ნორჩი მენახანძრისათვის ყველაზე უფრო მიმზიდველი, საინტერესო საქმე — ესაა, თეატრებსა, ცირკსა და ოპერაში მორიგეობა სპექტაკლის დროს. უნდა ნახოთ, რა ამბავი დატრიალდება ხოლმე, როდესაც ხელმძღვანელი ობიექტებზე ანაწილებს ნორჩ მენახანძრეებს. ყველაზე პატარებს ცირკი იზიდავს. იმ რაზმისაკენ იწევენ, რომელიც ცირკში მორიგეობს.



ნორჩი მენახანძრეები დგამენ განუტობას.



კლასიკოსი

გამოჩენილ მეცნიერს, მწერალს, კომპოზიტორს, ან მხატვარს, რომელმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა, კლასიკოსს უწოდებენ.

საინტერესო ისტორია აქვს ამ სიტყვას.

ძველ რომში საზოგადოება ქონების მიხედვით ხუთ კლასად იყო დაყოფილი.

იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდა ადამიანი, ისაზღვრებოდა მისი ადგილი საზოგადოებაში. ის მოქალაქეები, რომლებიც პირველ კლასში შედიოდნენ, განსაკუთრებულ პრივილეგიებზე მდიდმარეობაში იყვნენ — ფაქტიურად ისინი წყვეტდნენ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ საქმეებს. ამ უმაღლეს კლასში შემავალთათვის დამკვიდრდა განსაკუთრებული სახელი — „კლასიკოსი“.


შემდგომ, როდესაც ბერძენი ფილოსოფოსები პომპროსისა და სხვა ძველ მწერალთა ტექსტებს სწავლობდნენ, მათ მწერალთა სახეები იმავე სახით შეადგინეს, როგორც რომში ადგენდნენ მოქალაქეთა სიებს: ყველაზე გამოჩენილი და სახელოვანი მწერლები პირველ კლასში — „კლასიკოსებში“ — იქნენ შეყვანილი.

ასე დამკვიდრდა ჯერ ბერძნულში, შემდეგ კი სხვა ენებში სიტყვა „კლასიკოსი“.

მ ე ტ რ ი

სიტყვა „მეტროპოლიტენის“ წარმოშობა შემთხვევას მიეწერება. 1860 წელს ლონდონში დაიწყო მსოფლიოში პირველი, მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა. სამუშაოს შესრულება ერთმა კერძო ფირმამ — „დედაქალაქის სარკინიგზო კომპანიამ“ დაივალა. ამ ფირმის სახელწოდების პირველი სიტყვა — დედაქალაქი (ინგლისურად „მეტროპოლიტენი“) დაარქვეს ფრანგებმა 1898 წელს პარიზში აშენებულ მიწისქვეშა რკინიგზას.

შემდეგ ეს სიტყვა მტკიცედ დამკვიდრდა სხვა ენებში.



საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა თველოს წარმომადგენელი კაპიტანი პ. ა. ივანოვი ნორჩ მებანძრეთა შორის ატარებს მეცადინეობის გარჩევას.

ზოგი მოზარდმაყურებელთა თეატრებით არის გატაცებული. ზოგიერთს კი ოპერისაკენ მიუწევს გული. მაშინ თითქოს ავიწყდებათ თავიანთი მოვალეობა. მხოლოდ და მხოლოდ მაყურებელი ჰგონიათ თავი. მაგრამ ობიექტზე მისვლისას თავს დინჯად იჭერენ, ისე, როგორც ნამდვილ მებანძრეს შეჰფერის. ფარდის ახდამდე ამოწმებენ ყველაფერი წესრიგშია თუ არა, დგას თუ არა ტელეფონი, კედელზე არის თუ არა სახანძრო ონკანი, ცეცხლმქრობი ჰკიდია თუ არა. თბი-

ლისელი მაყურებლები გაკვირვებითა და სიყვარულით შესცქერიან ბავშვებს, რომლებიც თვალყურს ადევნებენ — თამბაქოს ხომ არავინ სწევს უადგილო ადგილას, კარები ხომ ადგილად იღება, ხომ არ არის მაყურებელთა სიმჭიდროვე რიგებში. ყველაფერი ეს იმისათვისაა საჭირო, რომ ხანძარს წინ აღუდგეს, გაფრთხილდეს. „სიფრთხილეს თავი არა სტკივთ“, ასეთია ნორჩ მებანძრეთა დევიზი.

კვირა დღეც ამას ჰქვია! მიდიხარ თეატრში, ყველა პატივისცემით გზვდება, უცნობი თუ ნაცნობი — ყველა გიღიმის, არავინ გაწუხებს: „შენი ბილეთიო“. ერთი სიტყვით თავს ნამდვილ ბატონ-პატრონად გრძნობ.


მაგრამ, როდესაც ფარდა იხსნება, ჩვენი ვაჟკაცურად შეჭურვილი მებანძრეები სრულიად ჩვეულებრივ, პატარა მაყურებლებად იქცევიან ხოლმე. ზოგი თავისუფალ სკამს მოძებნის, ფორმის კოკარდიან ქუდს მუხლებზე ჩამოიდებს და იმ წუთებში სცენის ცხოვრებით ცოცხლობს. იცინის, ან წუხს გამირებთან ერთად, ღელავს, ადგილზე ვერ ეტევა. ფარდის დახურვისას კი ყველაზე მეტად ამ თავისებური მაყურებლის ტაში ხმიანობს გაჩირადნებულ დარბაზში.





ბელეფონი მოსავალი

ამერიკელმა ინჟინერმა ჰაროლდ ოს-  
ბორნმა შექმნა ახალი ტიპის ტელეფონის  
აცდელი ნიმუში. გამომგონებელმა მას  
ტელეფონის ტელეფონი უწოდა. ოსბორნი  
ამტკიცებს, რომ მისი აპარატის საშუალო-  
ბით შეიძლება ლაპარაკი ყველასთან, დე-  
დამიწის ყველა ნაწილში იმ პირობით, რომ  
მოსაუბრებებს უნდა ქონდეთ ერთიადიგივე  
ტიპის, ესე იგი ოსბორნის აპარატი.



ახალი აპარატი ხელისგულზე თავსდება.  
მას გარდა მიმღებისა და გადამცემისა აქვს  
ტელევიზორის ეკრანი, რომელზედაც ნათ-  
ლად ჩანს მოსაუბრეთა სახეები.

მიწისქვეშა ცისარტყელა

ვის არ უნახავს ცისარტყელა — ჩვეუ-  
ლებრივი ციური მოვლენა, რომლის წარმო-  
შობის მიზეზი ხალხმა დიდი ხანია გაიგო.  
ცისარტყელა წელიწადის თბილ დროს  
ჩნდება, წვიმიან ამინდში, და ყოველთვის  
იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მიწისქვეშ  
მისი დანახვა კი მართლაც საკვირველია.

1955 წლის ბოლოს სსრკ მეცნიერებათა  
აკადემიის ურალის ფილიალის კუნგურის  
სტაციონარით თანამშრომლებმა, კუნგურ-  
ისის ყინულოვანი მდვიმეს ელიქტროფი-  
კაციის დროს, ერთ გამოქვაბულში შეამ-  
ჩინეს ცისარტყელა, რომლის კამარა მო-  
თეთრო რკალის სახით საკმაოდ გამოირ-  
ჩედა მდვიმეს ნანგრევის ბნელ ფონზე.  
ეს რკალი დაყოფილი იყო მკრთალ ფე-  
ხებად.

ჰაერის თავისებური რეჟიმის წყალობით  
კუნგურის მდვიმეების ბევრი გამოქვაბუ-  
ლი გამოირჩევა ჰაერის ძლიერ მაღალი  
ტენიანობით. სინათლის სხივები ელექ-  
ტრონათურაზე გადაიტენებიან ზოლებად  
და ქნიან მიწისქვეშა ცისარტყელას.

ბელეფონი ყველაფერზე

ბევრი თქვენგანისათვის უკვე ცნობი-  
ლია ტელეგადამცემის საიდუმლოება, სახლ-  
ში გაქვთ ტელევიზორი და ახლა გულმოდ-  
გინედ, ცნობისმოყვარეობით ადევნებთ  
თვალს თბილისის სატელევიზიო სადგურის

მუშაობას. ეს გასაგებია არის, ყველამ რო-  
დი იცის, რომ თანამედროვე ტექნიკამ  
ტროსტელების კიდევ ერთი ახალი აპარატი  
შექმნა და ოკეანეოლოგებს გადასცა წყალ-  
ქვეშა სამყაროს კიდევ უფრო უკეთ გა-  
საცნობად, მის შესასწავლად.

შავი ზღვის სანაპიროზე ნაყოფიერ მუ-  
შაობას ეწევა საბჭოთა კავშირის მეცნიერ-  
ებათა აკადემიის ოკეანეოლოგიის ინ-  
სტიტუტის ბაზა. წყნარ ამინდში კარგად  
ჩანს ზღვაში გასული, ინსტიტუტის სკ-  
ვლიერო-სამეცნიერო პატარა გემი — „აკ-  
დემიოსი შირშოვი“. მის ერთ-ერთ კაიუტა-  
ში მოთავსებული ტელევიზორი გამოცდას  
„აპარატს“. ახალ აპარატს ჩვეულებრივი  
ეკრანი და სახელურები აქვს, მაგრამ მისი  
მონათესაეი „სახმელეთო“ ტელევიზორი-  
საგან განსხვავებით. წყალქვეშა ტელევი-  
ზორის გადამცემი კამერა ფოლადის მაგარი  
მავთულით ჩაშვებულია ზღვაში. ამ საინ-  
ტერესო დანადგარის შემადგენლობაში  
შედის ზამბარისებურად დახვეწილი საკონ-  
ტაქტო მავთული და გემის ელექტროდენის  
გარდამქმნელი, რომელიც კვებავს გადამ-  
ცემს მუდმივი დენით. თუ რა სიღრმეზეა  
გადამცემი კამერა, ამას სპეციალური ალ-  
მირიკბირილი იგებენ. დანადგარს აქვს  
კომპასი, რომელიც დაკვირვების მიმარ-  
თულობას აცნობებს გემზე მყოფთ.

როგორ მიმდინარეობს დაკვირვება?  
კაიუტაში, სადაც მოთავსებულია ტელე-  
ვიზორი, ქრება შუქი. ამ დროს ორი მე-  
ზღაური ორთხილია უშვებს ზღვაში გა-  
დამცემი კამერას. მართვის სახეობის მობ-  
რუნია და... მაყურებელთა წინაშე ილიბა  
წყალქვეშა სამყაროს „ფანჯარა“. ეკრანზე  
გაჩვიებით ჩანს ყველაფერი. მეცნიერ-  
მუშაკებს საშუალება ეძლევათ წყალში ჩა-  
ოსილოლად აწარმოონ დაკვირვება ზღვის  
სიღრმეზე.

ექვარეში შეიძლება ითქვას, რომ წყალ-  
ქვეშა ტელევიზორს ფართოდ გამოიყენე-  
ბენ. წარმოვიდგინოთ ზღვაში ჩაძირული და  
ქვიშაში ღრმად ჩაფლული გემი, რომელ-  
საც დიდი აფეთქების შიშითაა შენგრეული  
აქვს კიდელი. მსგავს მყინთავებს მრავა-  
ლი საათის გატარება მოუხდობათ წყლის  
ქვიშ, ვიდრე იპოვიან რა ამოაღებინ და-  
ზიანების ადგილს. ეს საშუალები დამქანც-  
ვილ შრომას, ამტანიანობას და ხშირად სა-  
ნიფათო მოქმედებასაც კი თხოულობენ.  
წყალქვეშა ტელევიზორი საგრძნობლად  
გააადვილებს მყინთავების შრომას, მისი  
საშუალებით სწრაფად და შეუცდომლად  
შეიძლება გაიკვდეს ჩაძირული გემის მდგო-  
მარეობა. მაგრამ განა მარტო მყინთავები  
ჰპოვებენ თავიანთ დამხმარეს წყალქვეშა  
ტელევიზორის სახით? ეს დანადგარი მე-  
თევზებმაც შეიძლება გამოიყენონ. წყალ-

ქვეშა კამერას სწრაფად შეუძლია შეამჩ-  
ნოს თევზების ქარავანი და მაშინვე შეატ-  
ყობინოს გემბანზე მყოფ მეთევზეებს.

წყალქვეშა ტელევიზორი საზღვაო  
ელექტრონიკის ლაბორატორიის მუშაკთა  
ჯგუფმა შექმნა.

პურის ხე

ტროპიკულ ქვეყნებში ხარობს ხე, რომელსაც არტოკარპუსს — პურის ხეს უწოდებენ. ამ ხეს განსაკუთრებით წყნარი ოკეანის უდაბური კუნძულების მცხოვრებნი აფასებენ: ქოქოსის პალმასთან ერთად პურის ხის ნაყოფი მათი ძირითადი საკვები პროდუქტია. პურის ხე გარეგნულად ჩვენებურ მუხას ჩამოგავს, ოღონდ ფოთლები აქვს უფრო ფართო და დაკბილული. მისი ნაყოფი საკმაოდ დიდია, ხშირად გოგორის ოდენა იზრდება და წონით 20 კილოგრამს აღწევს. აღსანიშნავია რომ, ნაყოფი პირდაპირ ღეროზე, ხის სოკოს მსგავსად ამოდის.

სიმწიფის დროს რომ მოახლოვდება, დიდი და პატარა ტყეში მიდის, აგროვებენ ხის ნაყოფს და ქვის დიდ როდინებში ნაყვენ, შემდეგ წყალთან ან ქოქოსის წვეთთან ერთად ზეღენ და ცხელ ქვებზე აცხობენ. ასე მომზადებული პურის ხის ნაყოფი თითქმის არაფრით გამოირჩევა მაღალხარისხიანი პურისაგან.



პურის ხე მხოლოდ 60-70 წლამდე ცხოვრობს, მეწელობა არ იცის და ნაყოფს განოკვეთილად იძლევა. 5-7 ხეს შეუძლია წლის განმავლობაში უზრუნველყოს საკმაოდ დიდი ოჯახი.



# მ ე ე ზ ო ვ ა

გამთენიისას  
დაივლის ეზოს,  
გულკეთილია  
და უმიზეზო.

კარის მეზობელს  
რალაცას ეტყვის,  
ონკანს გახსნის და  
დაიბანს ხელ-პირს;

მერე ხალათით  
იმშრალებს ხოლმე.  
ჯერ კიდევ ერჩის  
ჯანი და ღონე.

გრძელტარა ცოცხზე  
აყოლებს ფიქრებს,  
ცოცხს იგი მართლაც  
ცელივით იქნევს...

ბოლოს დადგება  
გზისპირ და განცდიტ  
უმჯერს სკოლისკენ  
მიმავალ ყმაწვილთ.

როცა შვილიშვილს  
შენიშნავს მათში,  
გაეღიმება  
ბერიკაცს მაშინ.

ოთარ შალაგბერიძე

## აქლანური ჰიქაიათები

### საჭმელი ტანსაცმელის მიხედვით

პატარა ბავშვი, რომელსაც დახე-  
ული პერანგი ეცვა, კამეჩებს მწყემ-  
სავდა. გაიარა ერთმა კაცმა და  
ჰკითხა:

- შენია ეს კამეჩები?
- ერთი შენც! ხანისა!
- შენ რა ხარ მისი?
- მოსამსახურე.
- რას გიხდის ხანი? — დაინ-  
ტერესდა გავკლეი.
- არაფერს, მხოლოდ მაცმევს  
და მაჭმევს.
- გასაგებია, ასე რომ გაცმევს,  
როგორ საჭმელსაც გაჭმევს ხანი.

### მ ა თ ხ ო ვ ა რ ი

- ერთხელ მათხვარმს მდიდ-  
რის კარზე დააკუენა.
  - დიასახლისი შინ არ გახ-  
ლავს! — უთხრეს მას.
  - მე დიასახლისს კი არა, —  
შემწვლავს გთხოვთ, — უპასუხა მათ-  
ხვარმა.
- თარგმნა გრიგოლ გვაქაზიამ.



## ყურძენი და ყურძნის წვენი

ვენახს და მის ნაყოფს ადამიანი უხსოვა-  
რი დროიდან იცნობს. ამას ამტკიცებს პირ-  
ველყოფილი ადამიანის სადგომებში აღმო-  
ჩენილი ვაზის ფოთლების, კლერტისა და  
ყურძნის წიპწის ნაშარხის ანაბეჭდები.

ვაზის ერთ-ერთი საშობლო საქართვე-  
ლოა; ეგვიპტეში, ევროპაში და აღმოსავლეთ-  
ის ხალხთა სხვა სახელმწიფოებში ვაზი  
ამიერკავკასიის ქვეყნებიდან იქნა გავრცე-  
ლებული. ჩვენს ტყეებში გავრდილი ვაზის  
შესწავლიტ მტკიცდება, რომ იგი არსაიდან  
არ ყოფილა შემოტანილი. ვაზი თავისთავად  
იზრდებოდა საქართველოს მდიდარ ბუნებ-  
რივ პირობებში. ჯერ კიდევ 700 წლის წინ,  
ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ისტორიკოსე-  
ბის — სტრაბონისა და ქსენოფონტეს და-  
მოწმებით, საქართველოში მევენახეობა-მეღ-  
ვინეობა მაღალ საფეხურზე მდგარა. აქედან  
დიდძალი ხილი, ყურძენი და ღვინო გაჰქონ-  
დათ საზღვარგარეთ, მათ შორის მცირე  
აზიასა და ინდოეთში.

ქართველ ხალხს უყვარდა ვაზი, იგი სა-  
ფუძვლად ედო ქართული ოჯახის ეკონომი-  
ურ ძლიერებას.

მევენახეობა-მეღვინეობის ნამდვილი გან-  
ვითარება ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების  
დამყარებიდან იწყება.

საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულ-  
ტურულ ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთ-  
ვე მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტე-  
ბის მოთხოვნილება. მათ შორის საპატიო  
აღვლი უკავია ყურძენს და ყურძნიდან გა-  
მომუშავებულ ყურძნის წვენს, ბადაგს, კოპ-  
ტონს, ქიშიშის, ტბილ კვერს და სხვა პრო-  
დუქტებს, რაც შეგვიძლია ხანგრძლივად

შევიწახოტ და წლის ყველა დროში ვისარ-  
გებლოტ.

ყურძნის მარცვალი შეიცავს ადამიანისა-  
თვის ისეთ ძვირფას საკვებ ნივთიერებებს,  
როგორცაა: შაქარი (გლუკოზა, ფრუქტოზა),  
აგრეთვე ღვინის, ვაშლის, ლიმონის, მუა-  
კისა და ჰიანჭველას მუავები, ტანინი, კა-  
ლიუმი, კალციუმი, ფოსფორი, რკინა, მაგ-  
ნიუმი, იოდი და სხვა ნივთიერებები.

ყურძნის წიპწა მდიდარია ცხიმებით, ტა-  
ნინებითა და მინერალური ნივთიერებებით.  
წიპწადან მიღებულ ზეთს ზოგიერთ ქვეყ-  
ნებში, მაგალითად საფრანგეთში, საავიაციო  
მოტორებისათვის ხმარობენ.

ყურძნის წვენი უმნიშვნელოვანესი შე-  
მაღგენენი ნაწილია ყურძნის შაქარი (გლუ-  
კოზა, ფრუქტოზა).

ყურძნის შაქარი ორგანიზმში ააქტივებს  
ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს სისხ-  
ლის მიმოქცევას და შემაღგენლობას, თირკ-  
მლების, სისხლის სადენი მილებისა და  
გულის მუშაობას, ამავე დროს დადებითად  
მოქმედებს მთელ ნერვიულ სისტემაზე, და  
ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ნორმალურ  
მოქმედებას. ყურძენი და ყურძნის წვენი  
სწრაფად აღადგენს და ამავე დროს აგრო-  
ვებს ორგანიზმში ცილასა და ცხიმს. ყურ-  
ძენსა და ყურძნის წვენს, როგორც დამხმა-  
რე სამკურნალო საშუალებას, აგრეთვე იყე-  
ნებენ ფილტვების დაავადებისა და ბრონ-  
ქიალური ასტმის დროსაც.

ყურძენი და ყურძნის წვენი საბჭოთა კავ-  
შირში ემსახურება მშრომელთა ჯანმრთე-  
ლობის დაცვის საქმეს.

გალაქიონ მინდაძე




რ ე და ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი  
ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ .

ფახი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 1 1957.  
Тбилиси, Плевахова, 91. მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 01214, ტირაჟი 16.000, ხელმოწ. დასაბ. 16/II გამომც. შეკვ. 31, სტამბის შეკვ. № 1398.  
პ/კომბინატი „კომუნისტი“. გარეკანი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკაში.








# ბასართობი

## კ რო ს ვ ო რ დ ი



**ვერტიკალურად:** 1. ერთ-ერთი სასწავლო დისციპლინა; 2. ველი, სადაც არ ხარობს მცენარე; 4. კუნძული წყნარ ოკეანეში; 5. ძველი საბრძოლო საჭურველი; 6. ცნობილი დანიელი მეზღვაური, რომელმაც აღმოაჩინა კუნძულები და სრუტე; 7. საფოსტო გზავნილება; 9. ხის ნაყოფი; 12. ნამცხვარი; 14. მოწყობილობა რადიომიმღებისათვის; 15. მდინარე გერმანიაში; 16. წყლის ჭურჭელი.

**ჰორიზონტალურად:** 3. ციტრუსი; 5. ლითონი; 6. გერმანიის ერთ-ერთი კუთხე; 8. მიწის ინგლისური საზომი; 10. თავთავიანი კულტურის საღებავი ადგილი; 11. მდინარე ანგარის შენაკადი; 12. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 13. ტროპიკული ქვეყნის ცხოველი; 17. მწვერვალი კავკასიონზე; 18. გეომეტრიული სხეული; 19. ყელის დაავადება.

შეადგინა: ვ. ნიკოლაიშვილმა

## ა მ ო ც ა ნ ა

ვაშლით სავსე კალათი ვიას სახლში მიჰქონდა. გზაზე ზურა შეხვდა და ჰკითხა: რამდენი ცალი ვაშლი გაქვს კალათშიო.

— აბა რა გითხრა, თვითონ გამოიცანი. თუ ორ-ორს დავაწყო, ბოლოს ერთი დამრჩება კენტად. სამ-სამს დავაწყო, კვლავ ერთი დამრჩება, ოთხ-ოთხს დავაწყო—ისევ ერთი დამრჩება კენტად, ხუთ-ხუთს დავაწყო—ახლაც ერთი დამრჩება, ექვს-ექვსს დავაწყო—მაინც ერთი დამრჩება კენტად.

ზურა ჩაფიქრდა, გამოცნობა გაუჭირდა. იქნებ თქვენ გამოიცნოთ ბავშვებო რამდენი ვაშლი ჰქონდა ვიას კალათში?

დ. გველსიანი

## პ ა ს უ ხ ე ბ ი

1956 წლის შუბნალ „პიონერის“ № 12-ში  
მოთავსებულ ბასართობზე

## პასუხი კროსვორდზე

**ჰორიზონტალურად:** 1. ლენა; 4. ლომი; 7. ეკალი; 8. დაისი; 9. ითაკა; 11. ალიზი; 12. ბალკანეთი; 14. აგური; 15. ინსალაპი; 16. კალინინი; 19. რაინი; 21. ბადრო; 24. პარადი; 25. შეფილდი; 26. ვენერა; 29. ოზონი; 30. იალტა; 31. გეოლოგია; 32. კლაიპედა; 34. თაგვი; 36. იმუნიტეტი; 38. აზოტი; 40. ამონი; 41. ელადა; 42. ირანი; 43. დონი; 44. ანძა.

**ვერტიკალურად:** 2. ატამი; 3. რკინა; 4. ლუარა; 5. ლემა; 6. იხვი; 7. ეთილი; 10. ამური; 12. ბელგია; 13. ისინდი; 17. სიცილია; 18. მარსი; 19. რადიო; 20. ირემი; 21. ბადრი; 22. ომეგა; 23. ავეჯი; 27. ქოქოსი; 28. ალჟირი; 31. გაგრა; 33. ანოდი; 34. თუთია; 35. იგორი; 37. იგავი; 38. აბაშა; 39. იელი.

კროსვორდი შეადგინა მოსწავლე ომარ ბაახიამ

## პასუხი მათემატიკურ „გამოცანაზე“

$$X - \frac{X}{2} - \frac{X}{3} - (1 - 3) - 1 = 60$$

$$X - \frac{X}{2} - \frac{X}{3} - 4 - 1 = 60$$

$$\frac{6X - 3X - 2X - 24 - 6}{6} = 60$$

$$6X - 3X - 2X - 30 = 360$$

$$11X = 360 - 30 = 330$$

$$X = 30$$



## წაკითხეთ!

ნახაზე გამოსახული ასოების საშუალებით წაკითხეთ მდინარის სახელწოდება.



8. გასპარინი



## მრავალ ახალ წელს

ეს ახალი წლის ზარები რეკენ,  
მხრებდათოვლილი დგანან ქედები,  
თეთრი ფიფქები მოსულან მეკვლედ,  
როგორც მშვიდობის თეთრი მტრედები.  
სალამი სკოლას, სალამი მერხებს,  
ზღვა სინარულმა გადაგვიაროს,  
ახალ წელიწადს სიმღერით შევხვდეთ:  
— „ზამთარიაო! ზამთარიაო!...“

აქ შევეგებე თერთმეტ ახალ წელს  
და როცა აღარ გამიძლო გულმა,  
როცა ფიფქებმა მთები დახატეს,  
მთორმეტეჯერ გეწვიე სტუმრად.  
მოვედი, ვნახო გამზრდელი ჩემი,  
გულით ვუსურვო ღებნა მარადუამს,  
მე მასწავლიდა თერთმეტი წელი  
და მყინვარით გაქაღარავდა.  
მოვალ და მხრებზე თოვლი მეყრება,  
ეზოში თოვლი ნელნელა ბოლავს...  
მშობელო სკოლავ, შენი მეკვლე ვარ,  
მრავალ ახალ წელს, მშობელო სკოლავ!  
ვახანბო გოგოლაშვილი

